# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ორშაბათი, 29 ივნისი 1998 №105 (640) ფასი 50 თეთრი


# საფრანგეთი — პარაგვაი 1:0

# დანია — ნიგერია 4:1



პარაგვაელი თავდამსხმელი ხორხე კამპოსი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მცველ ფრანგ ლილიან ტურამთან უშანსოდ იყო

## მერვედფინალი

დ ღ ე ს

**გერმანია — მექსიკა**

მონპელიე. 18³⁰

**პოლანდია — იუგოსლავია**

ტულუზი. 23⁰⁰

30 ივნისი, სამშაბათი

**რუმინეთი — ხორვატია**

ბორდო. 18³⁰

**არგენტინა — ინგლისი**

სენტ ეტიენი. 23⁰⁰

## ვისწავლოთ დაცვა და იტალიური!

ემზარ ზენაიშვილი
„სარბიელის" საგანგებო კორესპონდენტი მარსელიდან



პარიზის ლიონის ვაგზლიდან მარსელში მიმავალთ მატარებლის გასვლის წინ ბლომად სთავაზობდნენ ბილეთებს იტალია — ნორვეგიის მატჩზე დასასწრებად. მსგავსი სურათი იყო მარსელშიც — მეტროს სადგურშიც და სტადიონის მისადგომებთანაც. ჰოდა, სტადიონზეც ბევრი იყო თავისუფალი ადგილი, განსაკუთრებით სამხრეთ და ჩრდილოეთ ტრიბუნებზე. პრესლოჟაშიც სიხალვათე იგრძნობოდა.

ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრისთვის ამ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. გამონაკლისი, ცხადია, არც მე გახლავართ. შორეულ მარსელში გამგზავრებაც სწორედ ამან განაპირობა. ბუნებრივია, გსურს, კიდევ ერთხლ ნახო საქმეში ძველი მეტოქეები — ინგლისი, იტალია და, რაც მთავარია, ევროპის მომავალი პირველობის ჩვენეულ შესარჩევ ჯგუფში ბევრის მიერ აღიარებული ლიდერი — ნორვეგია. ამერიკას არ აღმოვაჩენ, თუ ვიტყვი, რომ ამ სამეულში (ინგლისი-იტალია-ნორვეგია) უკანასკნელისთვის ბოლო ადგილია უპრიანი, რადგან წინმდგომთ აშკარად ჩამოუვარდება საფეხბურთო მეცნიერებაში.

მაგრამ ეს სრულიადაც არ იძლევა ზედმეტი, ჩვენთვის ასე ჩვეული მოჭარბებული, ხანდახან კი აბსოლუტურად უსაფუძვლო ოპტიმიზმის საფუძველს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბრაზილიელთა ზედიზედ ორჯერ დამარცხება, თან ექვსი ბურთის გატანით, ბევრს ნიშნავს. ბევრს ნიშნავს ისიც, რომ ნორვეგიელთა თითქმის მთელი გუნდი — 17 ფეხბურთელი 22-დან ისეთ საფეხბურთო ქვეყნებში გამოდის, როგორნიც არიან ინგლისი (11 კაცი), გერმანია (2), ესპანეთი და სხვანი.

მაგრამ ნორვეგიელებზე ცოტა ქვემოთ.

თითქმის მილიონიანი მარსელის 60-ათასიანი სტადიონი სამოცი წლის წინ აიგო. საფრანგეთი იმხანადაც მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობდა, რიგით მესამეს. მაშინ, 1938 წელს მარსელში ორი მატჩი გაიმართა. წელს, ცხადია, სტადიონი საფუძვლიანად განახლდა-გადაკეთდა. იგი ისეა დაპროექტებული, კიდეც შეეჭვდები, ამდენ მაყურებელს როგორ იტევსო. გადახურული დასავლეთი ტრიბუნის პირდაპირ და ორივე მხარეს მარაოსავით გაშლილა ღია ტრიბუნები, ხოლო მთელი კომპლექსი ისეა მორგებული ლანდშაფტს, რომ სრულად აღიქმება მშვენიერი ბუნებისა და მარსელის შემოგარენის სილამაზე.


იხილეთ მეთორმეტე გვერდი


## ნიგერია ღმერთმა დასაჯა

— ვამბობდი და ახლაც ვიტყვი, ნიგერია დანიაზე ძლიერი გუნდია, თუმცა, გუშინ აფრიკელები ღმერთმა დასაჯა. ძალიან ცუდად მოიქცნენ, როცა ჯგუფში, პარაგვაისთან ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით ითამაშეს და ესპანეთი მერვედფინალის გარეშე დატოვეს. მაშინაც გითხარით, ნიგერია ამისათვის ადრე თუ გვიან დაისჯება-მეთქი. ასე არ შეიძლება, მათ, უბრალოდ, მორალური უფლება არ ჰქონდათ პარაგვაისთან წაეგოთ. აგერ, საპასუხო შედეგიც მოიმკეს. ქომაგებს თავიც შეაძულეს. დანიელთა გუშინდელი მოგება სამართლიანია. ვერ ვიტყვი, სკანდინაველებმა ნიგერიელები ძლიერ დაჩაგრეს-მეთქი, მაგრამ ფაქტია, დანიური ფეხბურთის სკოლამ გაიმარჯვა. გუნდში რომ ლაუდრუპები გყავს, ეს უკვე ბევრზე მეტყველებს.

## ექსპერტის კომენტარი ვლადიმერ პაჩეჯი

*საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე*



საფრანგეთ — პარაგვაის შეხვედრისას კი, სრულიად შესაძლებელი იყო ჩემპიონატში პირველი სენსაცია მომხდარიყო. საცოდაობა პარაგვაელთა მატჩის შემდეგ ტირილი კი არა, ფრანგებს რომ წაეგოთ ის იქნებოდა. მსოფლიოს შერცხვებოდა შემდეგ ეტაპზე პარაგვაელთა თამაშისა და რასაც მიაღწიეს, ამისაც მადლობელნი უნდა იყვნენ. ყველა დამეთანხმება, არც ახალს ვიტყვი — ფაქტობრივად ცალკარა თამაში იყო. ფრანგების დასალუპად პარაგვაიმ ყველაფერი გააკეთა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მასპინძლებს კი ნამეტანი გაუჭირდათ, როგორია, თითქმის მთელი გუნდი თავს იცავდა. საჯარიმოდან ბურთი გონივრულად, ორგანიზებულად კი ამოჰქონდათ, აი, ცენტრის ხაზს იქით კი რა ექნათ, აღარ იცოდნენ.

მეოთხედფინალში მეტად საინტერესო მატჩი გველის. იტალია ჯგუფში ჩატარებული ორი საწყისი თამაშის მერე საგრძნობლად მოემჯობინდა. ნორვეგიელებსაც ღირსეულად გაუმკლავდნენ და ახლა მასპინძელთა წინაალმდეგობის დაძლევა მოუწევთ. ფრანგებს კი, ლიდერი ზიდანი დაემატებათ, რომელიც, ალბათ, ჯორკაეფს შეცვლის. ვფიქრობ, ამ მეოთხედფინალიდან გასული ერთ-ერთი ფინალისტი იქნება. ორივე თანამედროვე ფეხბურთის გრანდია. დანარჩენები ხომ თამაშს ამათგანაც სწავლობენ.

# შავი კონტინენტის შავი აღსასრული

მატჩი №52. 28 ივნისი. სენ დენი. სტად დე ფრანსი. 80 000 მაყურებელი

## დანია 4:1 ნიგერია

1:0 მიოლერი (3); 2:0 ბ. ლაუდრუპი (12); 3:0 სანდი (60); 4:0 ჰელვეგი (76); 4:1 ბაბანგიდა (78)

REUTERS სენ დენიდან



ეს ფოტო თავდაყირა დაბეჭდილი არ გეგონოთ, აქ შმაიხელი ზეიმობს

რა არის ფეხბურთი? რატომ გვიყვარს ფეხბურთი? რატომ სიამოვნებს ერთს ერთი გუნდის ცქერა, მეორე — მეორის?

რა სჯობს, იყო ჯეი-ჯეი ოკოჩასავით სწრაფი ფინტის ოსტატი, გყავდეს ასეთივე თანაგუნდელები, მაგრამ ვერ გრძნობდე (შეგნებულად ნუ ვიტყვით ვერ ხვდებოდეს), რომ ახლა წამია მოსაგები, ახლა კი პირიქით, სიჩქარეა საჭირო, თუ იყო რაციონალისტი ევროპელი, რომელიც ქუსლით ვერ (ან არ) კენწლავს, მაგრამ იცის, როდის, სად და რატომ?

ალბათ იღბალმაც ითამაშა თავისი როლი. მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში, თამაშის დასაწყისშივე ანგარიში 2:0 რომ გახდება, მერე დაწინაურებულისთვის წაგება, ჩამორჩენილისთვის კი გათანაბრება და შემდეგ გამარჯვება, ძალიან ძნელია, მეტიც, წარმოუდგენელი. ცხდია ის, რომ დანიელებმა ორგოლიანი უპირატესობა თავიდანვე ხელთ იგდეს, მათი კარგი და მეტოქის ცუდი თამაშის დამსახურებაა, მაგრამ ფეხბურთი, ბატონებო, ცოცხალი პროცესია, დარტყმული ბურთი შეიძლება ხუთი სანტიმეტრით აქეთ ან იქით წავიდს, გოლი არ შევარდეს და ამასობაში მეტოქე გონს მოეგოს, შენ ნერვები მოგეშალოს, ვილაც გააფრთხილონ, წვიმა წამოვიდეს და ასე შემდეგ.

მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ ბედმა დანიელებს ხელი არ შეუშალა, ჰოლანდიური „ეინდჰოვენის“ მოთამაშის პეტერ მიოლერის თითქმის პირველივე დარტყმით ბურთი ნიგერიელთა კარის ბადეში შევარდა, მერე კი იმავე მიოლერის მიერ საჯარიმოდან დაქუხებული, აფრიკელთა მეკარემ პეტერ რუფაიმ შორს ხეირიანად ვერ გადააგდო და დასწრებაზე, მეტოქის ცუდად განლაგებულ და ჩაძინებულ მცველებს ბრაიან ლაუდრუპმა დაასწრო — 2:0.

ნიგერია ღონიერი, გამძლე და ტექნიკური მოთამაშეებისგან შედგენილი გუნდია, მაგრამ კომბინაციის დახვეწილობა და გამართული პასები აკლია. სუპერარწივები რატომღაც ბურთს ერთმანეთს ძალიან უხერხულად გადასცემენ, ისე, რომ პასის მიმღებს ათასი საზრუნავი და საჭიდაო უჩნდება. თანაც, როდესაც ვითარება დაბალ გადაცემას ითხოვს, ბურთი სადღაც მაღლა მიფრინავს, ხოლო როდესაც თავურისთვის ზედგამოჭრილი მდგომარეობაა, მავანი კარში არტყამს.

ამას ალბათ ტაქტიკური უცოდინარობა თუ ჰქვია. ამ შემთხვევაში ტაქტიკაში არც სათამაშო სქემას ვგულისხმობთ და არც ფართო, პრინციპულ მონახაზს, აქ ერთი შეხედვით წვრილმანებზეა საუბარი, რომელიც ჩვენი აზრით ფეხბურთელებს შესისხლხორცებული უნდა ჰქონდეთ. ტელევიზორის პატარა ეკრანზეც მთელი მსოფლიო ხედავდა, რომ შმაიხელი მაღალი მეკარეა, რომელსაც ჩაკიდებულ ბურთებზე გამოსვლა ეხერხება. ამას პირველი ტაიმის კარგა გვარიანი მონაკვეთის განმავლობაში ნიგერიელები ვერ ხედავდნენ. კარგად ჩანდა ისიც, რომ სწრაფ თამაშში უპირატესობა ნიგერიელებისა იყო, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ აფრიკელები დაჟინებული, ბურთიანი და რაც მთავარია უბურთო გადაადგილებებით გასულიყვნენ ფონს, ვხედავდით ერთსა და იმავეს: ოკოჩა სორენ კოლდინგს ფინტს უკეთებს და საჯარიმოში მაღალ პასს აწვდის.

პირველსავე ტაიმში იყო ეპიზოდი, როდესაც კანუს უნდა გაეტანა გოლი და გაიტანდა კიდეც, პეტერ შმაიხელს პირისპირ შესული ოლიმპიური ჩემპიონისთვის ჩაწოლით ბურთი რომ ვერ აერთმია.

სანამ გუნდები ტაიმსა და ტაიმს შორის ისვენედნენ, გონება მეორე ნახევრის სავარაუდო სცენარს ადგენდა. ალბათ ნიგერია ტემპს ერთიორად აწევს, ალბათ დანიას მის ნახევარზე მიაჯაჭვავს... მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და დანიამ სივრცეები შეზღუდა, ნიგერიამ კი იმავე სიჩქარით განაგრძო მეტწილად ინდივიდუალური სირბილი, ისეთი, როგორითაც შესვენებამდე დარბოდა. ცხადია, ამ ვითარებაში სუპერარწივების შეტევათა ჩაშლა ერთიორად იოლი გახდა. მოედანზე სწორედ ის სურათი დაიხატა, როდესაც კაცს ერთი გუნდის ფეხბურთელები მეტი ჰგონია.

დაშალე და იბატონე — არის ასეთი ტაქტიკა პოლიტიკაში. წუხელ დანიის ნაკრებმა ზუსტად ეს გაუხერხა ნიგერიას.

კონტრშეტევა კი, მითუმეტეს, დაშლილ მეტოქესთან, პასებდაწყობილი ევროპული გუნდისთვის, მით უმეტეს, როდესაც მას გუნდში მიქაელ ლაუდრუპი ჰყავს, სასიამოვნო სათამაშოა.

...დანიელთა შვედმა მწვრთნელმა ბო იოჰანსონმა მიოლერის მაგივრად მოედანზე ებე სანდი შეიყვანა. შევიდა თუ არა, სანდმა მიქაელ ლაუდრუპისგან ენითაუწერელი სილამაზის, ბრძნული, დიდოსტატური პასი მიიღო, მცველი საჯარიმოშივე გააცრუა და როდესაც შენიშნა, რომ ნიგერიელთა მეკარე, ერთ-ერთი ტომის პრინცი, პიტერ რუფაი მარცხნივ ელოდა დარტყმას, მარჯვნივ დაურტყა — 3:0.

გამოხდა ხანი და რუფაიმ დარტყმული ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა, რასაც შედეგად ტომას ჰელვეგის გოლი მოჰყვა.

ბაბანგიდამ ერთი გულის მოსაფხანილა შეაგდო.

მანამდე სანდის წაქცევისთვის დანიას პენალტიც ეკუთვნოდა...

მაშ ასე, მსოფლიოს მეთექვსმეტე ჩემპიონატს აფრიკის კონტინენტის ბოლო გუნდიც გამოეთიშა. წახდა იმ ხალხის წინასწარმეტყველება, ვინც მეოცე საუკუნის ბოლოს ოქროს თასის მფლობელს დედამიწის ამ კუთხიდან ელოდა. მეოცე საუკუნეში მსოფლიოს პირველობა აღარ იქნება.

და დარჩნენ სარბიელზე ძველები — ევროპა და ლათინური ამერიკა.

დანია მეოთხედფინალში ბრაზილიას ხვდება.

**ილია ბაბუნაშვილი**

| დანია | | | |
|---|---|---|---|
| | 1. შმაიხელი | | |
| 12. კოლდინგი | 3. რიპერი | 4. ჰოგი | 5. ჰაინცე |
| 21. იორგენსენი | 6. ჰელვეგი | 7. ნილსენი | |
| | 10. მ. ლაუდრუპი | | |
| 11. ბ. ლაუდრუპი | 18. მიოლერი | | |
| 20. იკპება | 4. კანუ | | |
| 11. ლავალი | 10. ოკოჩა | 15. ოლისე | 7. ჯორჯი |
| 3. ბაბაიარო | 6. ვესტი | 5. ოკეჩუკვუ | 8. ადეპოჟუ |
| | 1. რუფაი | | |
| ნიგერია | | | |

შეცვლა: **მიოლერი — 19. სანდი (59), კანუ — 9. იეკინი (65), ლავალი — 13. ბაბანგიდა (73), ბ. ლაუდრუპი — 14. ვიგჰორსტი (78), მ. ლაუდრუპი — 8. ფრენდსენი (84)**

გაფრთხილება: **რიპერი, ოკოჩა**

მთავარი მსაჯი: **ურს მაიერი (შვეიცარია)**

### მატჩის შემდეგ

**ბო იოჰანსონი**, დანიის ნაკრების მწვრთნელი: „ჩვენ ბრაზილიური სტილის ფეხბურთი არ გვითამაშია, ვგონებ, ეს არასწორი შედარებაა. ის, რაც ჩვენ წარმოვადგინეთ, ძველმოდური დანიური ფეხბურთი გახლავთ. იმედი მაქვს, რომ მოედანს გარეთ, ტრიბუნაზე თუ ტელევიზორებთან, ყველამ ისიამოვნა. ჩინებული, სრულიად ფანტასტიკური მატჩი იყო.“

**პეტერ შმაიხელი**, დანიის ნაკრების მეკარე: „ამ საღამოს გემრიელი ფეხბურთი ვითამაშეთ. რამდენიმე ასეთი მატჩი შესარჩევ ციკლშიც გამოგვივიდა. ვიცოდით, რომ ამგვარად მიქმედება შეგვეძლო. მეტოქემ კი, ჩემი აზრით, ის შეცდომა დაუშვა, რომ თავი წინასწარ მიიჩნია მეოთხედფინალისტად. მას ყური არ უნდა დაეგდო იმ სტატიებისთვის, მსოფლიოს ჩემპიონობას რომ უწინასწარმეტყველებდა. ნიგერიელები ჩვენ გვეთამაშებოდნენ და ბრაზილიაზე ფიქრობდნენ. რაც შეეხება ჩვენს თამაშს ბრაზილიასთან, ჯერ ამაზე ვერ ვფიქრობ, ჯერ დღევანდელი ემოცია არ გამნელებია. ვიცი, რომ ისევ საფრანგეთის სამხრეთში გავემგზავრებით, სადაც დიდ გუნდს უნდა შევხვდეთ.“

**ფინიდი ჯორჯი**, ნიგერიის ნაკრების ფეხბურთელი: „ეს ფეხბურთია. დანიას კარგი თავდასხმა ჰყავს, ის მომენტებს ქმნიდა და გოლებიც გაჰქონდა. ჩვენ სულ ორიოდ ხიფათის შექმნა შევძელით. სამწუხაროა, ძალიან სამწუხაროა, მაგრამ რა გაეწყობა, ვიმეორებ, ეს ფეხბურთია.“

### მატჩის სტენოგრამა

3 წუთი: დანიელთა კაპიტანმა მიქაელ ლაუდრუპმა საჯარიმოს ხაზთან ტექნიკურად დაუგდო ბურთი მიოლერს. ამანაც შეუჩერებლად დაარტყა და ანგარიში გახსნა.

12. მიქაელ ლაუდრუპმა საჯარიმოსთან დანიშნული ჯარიმიდან ბურთი მიოლერს დაუგორა. მისი უძლიერესი დარტყმული რუფაიმ უხეიროდ მოიგერია, იქვე ბრაიან ლაუდრუპი გაჩნდა და შეაგდო.

13. კანუს შორიდან გასროლილი შმაიხელმა უკუაგდო.

16. კანუ მეკარესთან პირისპირ დარჩა. გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ შმაიხელი ნიგერიელს ჩანაფიქრს მიუხვდა და გოლი არ გაატანინა.

27. კუთხურიდან ჩაწოდებულს უჩემ ფეხი დაუხვედრა, ოდნავ ააცილა.

33. ოკოჩას შორიდან შეუჩერებლად დარტყმულმა ძელს გარედან ჩაუქროლა.

38. ოკოჩამ სამი დანიელი მცველი გააცურა, მერე ბურთი მარცხენა ფეხზე მოირგო, მოქრა კიდეც, მაგრამ შმაიხელმა ისევ იყოჩაღა.

44. ბრაიან ლაუდრუპის წამოწყებული კონტრშეტევა მიოლერმა გააგრძელა, მის დარტყმულს კი რუფაი ადგილზე დახვდა.

51. ბრაიან ლაუდრუპმა მარჯვნიდან საჯარიმოში ჩაწოდება სცადა, მაგრამ ბურთი აეჭრა და ხარიხას მოხვდა.

58. მარჯვენა ფლანგზე ვესტს ბურთი მიოლერმა „მოჰპარა“, იქვე მიქაელ ლაუდრუპს გაუგორა, ამან ძმას უპასა, მისი დარტყმული კი რუფაიმ ძლივს მოიგერია.

60. კვლავ მიქაელ ლაუდრუპი. ამჯერად ფილიგრანული პასი სანდს მიაწოდა, ამან თავით გაიგდო, ვესტი ჩამოიშორა და ანგარიში გაასამა.

68. მსაჯმა ნიგერიელთა კარში ასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნა. ბაბაიარომ სანდი აშკარად წააქცია.

76. იორგენსენის დარტყმული რუფაიმ უხეიროდ მოიგერია, ბურთს სანდი დაეუფლა, ისევ იორგენსენს დაუბრუნა, ამან საჯარიმოშივე ჰელვეგს მიაწოდა და ნიგერიელებიც მეოთხედ დამწუხრდნენ.

78. ბაბანგიდამ მარცხნიდან ჩაწოდებულს სწორად შეურჩია ადგილი და შეუჩერებლად ერთი გოლი შეაგდო.

80. ფინიდის უძლიერესად დარტყმული შმაიხელმა უკუაგდო.

80. ნილსენი რუფაისთან პირისპირ დარჩა — უხეიროდ გაისარჯა.

81. სანდიმ ბაბაიაროს ფეხებშუა გაუტარა, მერე მოჭრილი დაარტყა, მაგრამ მეკარემ მოიგერია.

84. იეკინიმ შმაიხელის თავზე გადაგდება სცადა, ძლიერად მოუვიდა.

85. ოკოჩამ ტექნიკური ილეთი ძლიერი დარტყმით დაასრულა, ბურთი ტრიბუნისკენ წავიდა.

REUTERS სენ დენიდან




თომას ჰელვეგს გოლი გააქვს ნიგერიის ნაკრების კარში

# ...და ბულდოგმა თავი დახარა

მატჩი №51. 28 ივნისი. ლანსი. სტად ფელიქს ბოლერი. 41 275 მაყურებელი

## საფრანგეთი 1:0 პარაგვაი

1:0 ბლანი (113)

ძირითადი დრო 0:0

ჩვენ იოლად ვერ დავიჭერთ მოედანს, გარჯა მოგვიწევს. ჯგუფურ ტურნირში პარაგვაელები თანდათან აუმჯობესებდნენ თამაშს. მათი გრაფიკი აღმავალია. მათ კარგად იციან პოზიტიური თამაში, შეკ-

REUTERS ლანსიდან



ფრანგი ლორან ბლანის (№5) ოქროს გოლმა პარაგვაელ ხოსე ლუის ჩილავერტს გული მოუკლა

რული გუნდი ჰყავთ და ბურთს კარგად ატარებენ — ამბობდა გუშინდელი მატჩის წინ ფრანგთა თავკაცი ემე ჟაკე.

ჩვენ უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით ნიგერიელთა კართან. ჩვენ დინამიურად ვითამაშეთ და საუცხოო დაცვაც ვაჩვენეთ მაყურებელს. იმედი მაქვს, იგივეს გავიმეორებთ. საფრანგეთი ძლიერი გუნდია, მაგრამ მას ნაკლი აქვს. მე ვხედავ ამ ნაკლს — იქადნებოდა აფრიკელებთან მოგებით და მერვედფინალში გასვლით შაგულიანებული სეზარ კარპეჯიანი, პარაგვაელთა ბრაზილიელი მწვრთნელი.

რა ახდა მწვრთნელთა ნათქვამიდან, რა დადასტურდა?

ბურთის კარგად ტარებისა რა ვთქვათ და, თავდაცვა კი, პარაგვაელებმა მართლა ჩინებული იციან. ასეთი დაცვა რაგინდარა გუნდს შეშურდებოდა, შეთამაშებულიც, აზრიანიც და თავგანწირულიც.

პარაგვაი მერვედფინალში — ეს თავისთავად უკვე იყო სენსაცია. იქ კი 7 დამატებითი წუთი და რამდენიმე პენალტის დარტყმა დააკლდა, თორემ ვინ იცის, ეგებ მსოფლიოს ჩემპიონატი უმასპინძლოდაც დაეტოვებინა.

საფრანგეთმა ჯგუფური ტურნირი ტრიუმფალურად განვლო. საწყის სამ მატჩში გოლი მხოლოდ არგენტინას არ გაუშვია. კარლოს როას და მის დაცვას ყველაზე ნაკლებად ბარტესის წინ აღმართული ლურჯი ბასტიონი ჩამორჩა. საფრანგეთმა ერთადერთხელ ვერ დაიცვა კარი. და პარაგვაი. ხოსე ლუის ჩილავერტს თილისმა მედალიონმა ოდენ ნიგერიასთან ვერ ააცილა გოლი.

პარაგვაის დაცვის სიმტკიცე ცხადია, მაგრამ სამაგიეროდ სამხრეთამერიკელთა შუა და წინა ხაზი ვერ დაიკვეხნის. ეს ერთადერთი გუნდია, რომელმაც ჯგუფში ორადორჯერ გაიტანა და მერვედფინალში კი მაინც გავიდა. ის ორი გოლიც პარგვაელებმა ნიგერიას გაუტანეს, გუნდს, რომლისთვისაც ბოლო მატჩის შედეგს არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

პარაგვაის ცოტალა დააკლდა სამართლიანი უსამართლობა აღესრულებინა — ფლეი ოფიდან გაეგდო გუნდი, რომელიც 113 წუთს თუმც კი უკბილოდ, მაგრამ ერთთავად უტევდა.

რატომ იყო საფრანგეთი ასე შეცვლილი? განა დანიასთან არ იყო, ძირითადის 8 ფეხბურთელი რომ დაასვენა და ისე გაიმარჯვა? ისეთი რა ნაკლი შენიშნა კარპეჯიანიმ ფრანგთა თამაშში, რომელზეც თვალი აგრემც ვერ აგვიხილა? არა, უნაკლო ბრაზილიელები ვერ არიან და შიგადაშიგ, ცხადია, გალიელებიც სცოდავენ. მაგრამ გუშინ საფრანგეთის ნაკლი თუ დანაკლისი უზიდანობა იყო.

გუშინდელი მატჩის მიწურულს ერთ ჩემს კოლეგასთან კამათი მომიხდა. ორივენი თავს ზინედინის ნიჭის დამფასებლებად მივიჩნევთ, მაგრამ წუხელ ეს ფრანგი არაბი შემომელანძღა. ახლა საფრანგეთმა რომ პენალტებით წააგოს, ეს არც ჟაკეს ბრალი იქნება, არც დიომედის, არც ბარტესის და არც ჩილავერტის, ამაში დამნაშავე ზიდანი იქნებამეთქი, ვამბობდი. ზიდანი, რომელსაც საუდელებთან უსაქციელობა ვერ ვაპატიე. არადა, ჩემპიონატის წინ ფრანგთა ლიდერი მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეობის ერთ-ერთ კანდიდატად დავსახე. საფრანგეთის ნაკრებზე სხვებზე ბევრად მაღალი წარმოდგენისა როდი ვარ, მაგრამ თავად ზიდანის იმედი მქონდა.

სწორედ ის აკლდა გუშინ ფრანგებს და მაინც კი უიმისოდაც მოიგეს. სეზარ კარპეჯიანი, მე რომ მკითხოთ, აქამდელი ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელია. გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, ჩემპიონატის დაწყებამდე ჩილავერტის გარდა რამდენი პარაგვაელი ფეხბურთელის გვარი ვიცოდით. ყოველ შაბათს ესპანეთის ჩემპიონატის ტურის მატჩს ვუცქერ და ბენიტესი, ჰ ა-ჰა, აკუნიაც გამიგია. არადა, კარპეჯიანის საფრანგეთში გუნდი ჰყავდა ჩაყვანილი. ვერ ვიტყვით, გადასარევიო, მაგრამ ბრძოლისუნარიანი და აზრიანი გუნდი. პარაგვაელებსაც ზიდანი აკლდათ, მისი დახმარებით ფრანგებს აატირებდნენ.

გუშინ კი „რივერ პლეიტის“ მცველი სელსო აიალა აცრემლდა. მთელი მატჩის განმავლობაში თავგანწირვით მოთამაშე თანაგუნდელი თავად ნირწამხდარმა ჩილავერტმა ძლივს წამოაყენა და დაამშვიდა — კაცს ტირილი არ შეშვენისო.

ლამის ერთ საათს, ტრავმით ხელგაშეშებულ კარლოს გამარასაც ტკივილი ალბათ არ დააძინებდა. მის განქარვებას ხომ სიხარულით იმედოვნებდა.

გუშინ ფრანგებს ლორან ბლანმა მოაგებინა, მის გარდა ვერავინ ააცილა ბურთი ზორბა ჩილავერტს, რომელიც დიდი ხნის წინ ბულდოგად მოუნათლავთ.

ამ ოქროს გოლს კი, მომკალით და, ვერ ვეგუები. ვინ იცის, დარჩენილ შვიდ წუთში პარაგვაი რას მოიმოქმედებდა.

**ვახტანგ ბზიკაძე**

### მატჩის შემდეგ

ᲓᲘᲓᲘᲔ ᲓᲔᲨᲐᲛᲞᲘ, საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი: „ბოლოს უკვე ჩვენი შესაძლებლობების ნარჩენებში ვიქექებოდით. დღევანდელმა შეხვედრამ უდიდესი ენერგიის გაღება მოითხოვა. საფინალო სასტვენი რომ გაისმა, დაღლილობისგან სპაზმები მქონდა. ძალიან ბევრი შესაძლებლობა გავუშვით ხელიდან, მაგრამ საბედნიეროდ მაინც მოვახერხეთ გოლის გატანა. ახლა მეოთხედფინალში იტალიის ნაკრებთან გაცილებით ძლიერად უნდა ვითამაშოთ, რადგან იქ სულ სხვა რაღაც გველის. ძალიან კი დავიღალეთ, მაგრამ რაც მთავარია, შემდეგ ეტაპზე გავედით. იტალიის წინააღმდეგ თამაში გაცილებით ძნელი იქნება. იტალიელები დაცვაში ერთიორად მკაცრები გახლავან.“

ᲔᲛᲔ ᲟᲐᲙᲔ, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი: „პარაგვაის უნდოდა თავი დაეცვა და სწრაფი კონტრშეტევების დროს მისთვის სასრგებლოდ გამოეყენებინა ის სივრცეები, რომელთაც ჩვენ შეცდომათა გამო დავუტოვებდით. ამიტომ გამარჯვების მისაღწევად საოცრად დიდი ენერგიის დახარჯვა მოგვიხდა. თუ ჩვენს უდიდეს უპირატესობას გავითვალისწინებთ, გამარჯვება ლოგიკური იყო. ძლიერმა მიოგო.“

ᲘᲣᲠᲘ ᲯᲝᲠᲙᲐᲔᲤᲘ, საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი: „რას იზამ, ასეთია ფეხბურთი, ძალიან აზარტული რამ გახლავთ. პარაგვაის რაკრებმა დაცვაში მართლაც ჩინებულად ითამაშა. რაც კი ვიცი, ყველა ხერხი ვიხმარე. ვგონებ, დღეს გამოჩნდა, რომ ჩვენს გუნდს ბოლო წამამდე შეუძლია მუშაობა. იტალიაზე რაღა ვთქვა... იტალია, ბრაზილია, გერმანია... მე მხოლოდ საფრანგეთის ნაკრებზე ვფიქრობ. აღარავის ვუყურებთ აღტაცებით. ჩვენ საკუთარი დელ პიეროები, ვიერები და პალიუკები გვყავს. ის კი არა, შესაძლოა მათსას ჩვენები სჯობდნენ კიდეც.“

| | | |
|---|---|---|
| | | საფრანგეთი |
| | 16. ბარტეზი | |
| 15. ტურამი | 5. ბლანი | 3. ლისარასუ |
| | 8. დესაი | |
| 7. დეშამპი | 17. პეტი | 13. დიომედი |
| | 6. ჯორკაეფი | |
| 12. ანრი | 20. ტრეზეგე | |
| 21. კამპოსი | 9. კარდოსო | |
| | 10. აკუნია | |
| 13. პარედესი | 16. ენსისო | 15. ბენიტესი |
| 11. სარაბია | 4. გამარა | 2. არსე |
| | 5. აიალა | |
| | 1. ჩილავერტი | |
| | | პარაგვაი |

შეცვლა: **კამპოსი — 7. ეგროსი (56), ანრი — 11. პირესი (65), პეტი — 14. ბოგოსიანი (70), პარედესი — 20. კანისა (75), დიომედი — 9. გივარში (77), კარდოსო — 8. როხასი (91)**

გაფრთხილება: **ჩილავერტი, ბენიტესი, ენსისო, არსე, აკუნია**

მთავარი მსაჯი: **ალი მოჰამედ ბუჯსაიმი (საამიროები)**

### მატჩის სტენოგრამა

14 წუთი. ლისარასუმ არ იქნა და არ დაარტყა. ბურთი საჯარიმოში გორაობდა. ბოლოს ტრეზეგემ კი მოიფიქრა, ბურთი კარისკენ გაეგზავნა, მაგრამ აცილა.

15. დიომედი ახლოდან შეეცადა გოლის გატანას — ჩილავერტმა აჯობა.

18. ჯორკაეფის მოჭრილმა კარს ზემოდან გადაუფრინა.

24. სრულიად უხიფათო სიტუაციაში ბარტეზს ბურთი ხელიდან გაუვარდა და თავი კინაღამ ხიფათში ჩაიგდო.

37. კარდოსო ბარტეზთან თითქმის პირისპირ დარჩა, მაგრამ მეკარემ აუღო. უფრო სწორად თავდამსხმელმა ვერ გაიტანა.

38. ანრი კი სულ მარტო აღმოჩნდა ჩილავერტთან. მეკარეს ბურთიც გადაატარა, მაგრამ პარაგვაი ძელმა იხსნა.

55. დესაის თავური ჩილავერტმა ზედ კარის ხაზზე გააჩერა.

56. არსეს საჯარიმოში ჩაწოდებულს პირველი გამარა შესწვდა, თუმც მისი თავური არაზუსტი გამოდგა.

60. ბენიტესმა არსეს დაუგორა. მან ძლიერად დაარტყა, არაზუსტად.

67. ჯორკაეფმა საჯარიმოში კინაღამ ფეხი ამოიგდო — ბურთს აცილა.

71. ჯორკაეფის დარტყმული ბურთი მცველმა აისხლიტა და კუთხურზე გაგორდა.

75. ტრეზეგე ჩილავერტის ცხვირწინ დარჩა, მაგრამ ზედმეტი მოინდომა და მცველმა დაასწრო.

78. საჯარიმოში ეულად დარჩენილმა ჯორკაეფმა ჯამბაზობა დაიწყო, ამასაბოში კი მისი დარტყმული უხიფათო გამოდგა. არადა, გოლი გარდაუვალი ჩანდა.

85. პირესის მოჭრილი შორეულ ცხრიანს სანტიმეტრებში ასცდა.

90. კარდოსოს ბარტეზისთვის ბურთის თავზე გადაგდება და გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ოსტატობა არ ეყო.

90. ჯორკაეფის დარტყმული არსემ კარიდან გამოიტანა.

99. ჯორკაეფის საჯარიმო მცველს თავზე მოხვდა. რიკოშეტით კარისკენ წავიდა, მაგრამ ჩილავერტმა ბურთის კუთხურზე მოგერიება მაინც შეძლო.

101. ტრეზეგესაც შეეძლო გატანა, მაგრამ ბურთს უხეიროდ დაჰკრა.

103. ჩილავერტმა ამჯერად ბოგოსიანს აუღო.

107. როხასს რომ მოენდომებინა, ბარტეზთან პირისპირ დარჩებოდა, მაგრამ დაიბნა, ბურთი ფეხებში აებლანდა.

112. ტრეზეგეს დარტყმულს მცველი გადაელობა და სახიფათო მომენტი გააუვნებელყო.

113. პარაგვაელმა მცველებმა საბედისწერო შეცდომა დაუშვეს: პირესის ჩაწოდებული ტრეზეგემ მცველებს შორის ბლანს დაუგდო. დაუგდო და მატჩიც დამთავრდა. ჩილავერტი ამჯერად უძლური იყო.

REUTERS ლანსიდან



აიალა და პარაგვაის დაცვა ტრეზეგეს 113-ე წუთამდე გაუმკლავდა

მატჩი №53. გერმანია — მექსიკა. მონპელიე. 18[30]

# ისინი არ ნებდებიან

გერმანია და მექსიკა დღეს საღამოს მონპელიეში ერთმანეთს უშელავათოდ შეებმებიან. ჯერ ერთი იმიტომ, რომ წაგებული ვარდება, მოგებული კი მეოთხედფინალში გადის, მაგრამ გარდა ამისა იმიტომაც, რომ მათ სხვებზე უკეთ მოეხსენებათ — თამაში მსაჯის საფინალო სასტვენამდე გრძელდება.

ეს იმთავითვე რომ არ სცოდნოდათ, ერთიცა და მეორეც წააგებდა სულ მცირე თითო შეხვედრას. გერმანია იუგოსლავიასთან აგებდა 0:2-ს, მექსიკა ბელგიასა და ჰოლანდიასთან. ერთმაც და მეორემაც ითაკილა ფარ-ხმლის დაყრა და ანგარიში გაათანაბრა. სამივე შეხვედრა 2:2 დასრულდა.

სხვათაშორის, ჯერჯერობით ჩატარებულ პირველი ეტაპის მატჩებში მექსიკას სულ ანგარიშის გათანაბრება უხდებოდა. ჯერ კორეასთან (3:1), მერე ბელგიასთან (2:2), ბოლოს კი ჰოლანდიასთან (2:2)

„მექსიკამ თვით ჰოლანდიასთან გამოასწორა ორგოლიანი დეფიციტი, რითაც ფაქტობრივად ფრთხილად იყავით, გვითხრა“ — განაცხადა გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა.

ვეტერანმა ლიბერომ, ლოთარ მათეუსმა მწვრთნელის ნათქვამს დასძინა: „მექსიკელებს ფეხბურთის თამაში ეხერხებათ, ჩვენ კი მათ წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ 95 წუთის განმავლობაში, სანამ მსაჯი საფინალოდ არ ჩასტვენს, მაქსიმალური ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ“.

მექსიკელები და გერმანელები 1968 წლიდან ხვდებიან ერთმანეთს. დღეს მათი მეცხრე დაპირისპირებაა. წინა რვა თამაშიდან ოკეანის გაღმელებმა მხოლოდ ერთხელ შეძლეს მოგება.

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე დღევანდელი მტეოქეები ბოლოს 1986-ის მეოთხედფინალში წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ. მაშინ გერმანიამ გაიმარჯვა, ოღონდ ეს მხოლოდ თერთმეტმეტრიანი დარტყმების შემდეგ შეძლო.

გერმანიის ნაკრების დღევანდელ ფეხბურთელთაგან იმ, 12 წლის წინანდელ შეხვედრაში მხოლოდ 37 წლის მათეუსი მონაწილეობდა.

ამ საღამსოს მოსალოდნელია, რომ გერმანელებმა თამაში ზუსტად იმ შემადგენლობით დაიწყონ, ირანთან რომ ჰყავდათ.

მექსიკელთა ნაკრებში ბოლო დღეებში კარგი განწყობილება სუფევს. თავიდან გუნდის მწვრთნელს, მანუელ ლაპუენტეს ძლიერ აკრიტიკებდნენ, მაგრამ ახლა, როდესაც გუნდი 16 უძლიერესს შორის მოხვდა, ლაპუენტესმა შვებით ამოისუნთქა. მექსიკა ევროპის კონტინენტზე გამართულ მსოფლიო ჩემპიონატებში აქამდე არასდროს გასულა მეორე ეტაპზე.

ლაპუენტესის აზრით გერმანიის ნაკრებმა ლამაზად ითამაშა პირველ ეტაპზე თუ ულამაზოდ, მნიშვნელობა არა აქვს.

„ხალხს ეს გუნდი მოსწონს თუ არა, მთავარი გამარჯვებაა. გერმანელები კი იმარჯვებენ და თან ერთობ დამაჯერებლად“ — უთხრა ლაპუენტესმა პრესკონფერენციაზე შეკრებილ ჟურნალისტებს.

წინა შეხვედრისგან განსხვავებით, მექსიკელებს მოედანზე არ ეყოლებათ რამონ რამირესი, რომელმაც წითელი ბარათი მიიღო და ამისათვის ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. მოსალოდნელია, რომ რამირესის მაგივრად ითამაშებს „ტოლუკას“ 35 წლის ნახევარმცველი ხაიმე ორდიალესი, რომელიც ხერმან ვილასა და ალბერტო გარსია ასპეს შეუამხანაგდება.

დღევანდელი შეხვედრა, სხვათა შორის, ისევე როგორც ბევრი ამ ჩემპიონატზე, იმითაცაა საინტერესო, რომ მასში ერთმანეთს ორი საფეხბურთო კულტურა დაუპირისპირდება, ხოლო საფეხბურთო კულტურა, მოგეხსენებათ, ყველა ერის ზოგადი კულტურის შემადგენელი ნაწილია.

ერთი მხრივ გერმანელები, უმაღლესი ხარისხის დისციპლინისა და სიზუსტის მოყვარე ხალხი, მეორე მხრივ კი ემოციური და ნაკლებად ორგანიზებული მექსიკელები, რომელთაც თავიანთი, წიწაკასავით ცხარე უპირატესობები გააჩნიათ.

მექსიკელთა და გერმანელთა შორის განსხვავება კუატემოკ ბლანკოა. არასდროს, არც ერთ გერმანელს თავში აზრად არ მოუვა გააკეთოს ის, რაც ამ 25 წლის თავდამსხმელმა გააკეთა. ხომ გახსოვთ კორეასთან შეხვედრაში მან ბურთი კოჭებს შორის მოიგდო და ისე გადაახტა ორი მოწინააღმდეგის გამოშვერილ ფეხს.

სანამ ბლანკო ტრიუკებს ამუშავებს, მისი გერმანელი კოლეგა-ფორვარდი იურგენ კლინსმანი პლეი-ოფის ეტაპის დადებით და უარყოფით მხარეებზე ფიქრობს.

„პლეი-ოფი კარგი რამ გახლავთ“ — თქვა კლინსმანმა მექსიკასთან თამაშის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე — „ცხადია არსებობს გავარდნის რისკი, მაგრამ როცა საქმე ჯიქურ გიდგას, ანუ უნდა გაიმარჯვო ან ყველაფერი წყალს გაატანო, იძულებული ხარ აჩვენო შენი ნამდვილი სახე. თუ გერმანელები ბრძოლას ვაჩაღებთ, ჩვენი შემჩერებელი არავინაა. რაიმეს შეცვლა შეუძლებელია. მეოთხედფინალი ან შინ დაბრუნება! ეს გართობა ნუ გეგონებათ. ასეთი ფსიქოლოგიური წნეხი დამატებითი სტიმულია ჩვენთვის. მექსიკელებს დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ საკმარისია მთელი სიმძლავრით ვითამაშოთ და გამოვავლინოთ სათანადო აგრესია, რომ მეოთხედფინალში გავალთ. მიყვარს ასეთ შეხვედრებში მონაწილეობა. ჯგუფში საკმაოდ შთამბეჭდავნი ვიყავით, იუგოსლავიასთან ბედის ჩარხი უკუღმა რომ დავატრიალეთ, ეს ძალის დემონსტრაცია გახლდათ. ფეხბურთელებს, რომელთაც ასეთი მატჩის შემობრუნება ძალუძთ, უეჭველად წინ წასვლა უწერიათ.“



კოლერი, ფოგტსი და კლინსმანი მექსიკას სუსტ გუნდად არ მიიჩნევენ

სარბიელის არქივიდან



ხესუს არელანო და ლუის ფერნანდესი (№15) მარცხს არასდროს ურიგდებიან

სარბიელის არქივიდან

### გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

გერმანია: კიოპკე, მათეუსი, კოლერი, ვიორნსი, ჰაინრიხი, ჰამანი, ჰელმერი, ტარნატი, ჰესლერი, კლინსმანი, ბირჰოფი

მექსიკა: კამპოსი, პარდო, სუარესი, დავინო, ლუნა, ორდიალესი, ვილა, გარსია ასპე, პელაესი, ერნანდესი, ბლანკო

**ბაჩუნა ძიძია**

# მათ არ დანებდნენ

მატჩი №54. ჰოლანდია — იუგოსლავია. ტულუზი. 23[00]

შეძლებენ ჰოლანდიელები ლაღ თამაშს მთელი 90 წუთის განმავლობაში? ან იუგოსლავიელებს შესწევთ იმის ძალა, რომ თავიანთი თამაშის ინტენსივობა იმ სიმაღლეზე აიყვანონ, გერმანელებთან მატჩის დროს აიყვანეს?

უცხოელ მიმომხილველთაგან ზოგი პირდაპირ აცხადებს, დღეს თუ მარტო ნიჭის ნიჭთან დაპირისპირებაზე მიდგა საქმე, ჰოლანდია აუცილებლად გაიმარჯვებსო.

იუგოსლავიელთა უნარის დაკნინება უთუოდ შეცდომა იქნება, მაგრამ ჰოლანდიელებმა საფრანგეთის სტადიონებზე მართლაც ფანტაზიით აღსავსე, გამართული და სწრაფი ფეხბურთი რომ წარუდგინეს საზოგადოებას, ვგონებთ საკამათო არ უნდა იყოს. თუმცა უნაკლონი არც ისინი არიან. პირველ შეხვედრაში ბელგიელებთან, დასაწყისში ძალიან ძლიერად ითამაშეს, თუმცა შემდეგ, მას მერე რაც მეტოქემ საწყის მღელვარებას სძლია, სუსტი ფეხბურთელი შეცვალა და საჯარიმოს მისადგომებთან კედელი ამოიყვანა, ჰოლანდიელებმა მასზე შესკდომა დაიწყეს, განგრევის ხერხს კი ვერ მიაგნეს. მეორე მეტოქედ ნიდერლანდელთა სამეფოს ნაკრებს კორეა ჰყავდა. გუნდი, რომელსაც ფეხბურთი სახელმძღვანელოთი აქვს ნასწავლი და ისიც, როგორც ჩანს ჯერჯერობით თავდაცვის გაკვეთილებს არ გასცდენია, ამიტომაც ნიჭიერმა ნარინჯისფერებმა მას სულ ნაირ-ნაირი, ხუთი გოლი გაუტანეს. მესამე მოწინააღმდეგესთან, მექსიკასთან ისევ დასაწყისი იყო დიდებული, ჰოლანდია ორი ბურთით დაწინაურდა, მაგრამ მერე გაჩერდა, თამაშზე გული აიცრუა (ისედაც გასული იყო მერვედფინალში) და ორი გაუშვა.

გამოდის, რომ კორეის ნაკრების გარდა, მსოფლიოს პირველობათა ორგზის ფინალისტებმა, სხვა მეტოქეებთან, თავიდან ბოლომდე მათთვის სასურველი სცენარის კარნახი ვერ მოახერხეს. ამიტომაც ჩნდება კითხვა: შეძლებს ჰოლანდია იუგოსლავიელებთან ჭიდილში თავის გატანასა და საუკეთესო ფეხბურთის თამაშს დროის უმეტესი ნაწილის განმავლობაში? მით უფრო, რომ იუგოსლავია ერთობ სერიოზული მოწინააღმდეგეა. მას შეტევაც შეუძლია, მაგრამ ვთქვათ და შეტევაში თამაში ვერააწყო, დაცვაში იოლად არაფერს დათმობს.

„მექსიკამ გვასწავლა, რომ მოწინააღმდეგეზე ზეწოლა ერთი წუთითაც არ უნდა შევწყვიტოთ და საფინალო სასტვენამდე არ უნდა გაგვეფანტოს ყურადღება“ — თქვა ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა.

ჰოლანდიელთა მსგავსად, ერთ თამაშში იუგოსლავიელებმაც ორგოლიანი უპირატესობა გაუშვეს ხელიდან, მაგრამ მათ სხვა ვითარება ჰქონდათ, ისინი გერმანიასთან იგებდნენ 2:0-ს. ბოლოს, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა დაჟინებულ შეტევებს ველარ გაუძლეს, თორემ მოტივაცია არ ჰკლებიათ.

„საფინალო სასტვენამდე კაცურ ფეხბურთს ვითამაშებთ. ჩვენი მაქსიმუმი ჯერ არ გვიჩვენებია, მას ძლიერ გუნდთათვის ვინახავდით“ — განაცხადა იუგოსლავიის ნაკრების მცველმა ზეიკო პეტროვიჩმა.

დღეს, მოედანზე შეიძლება პატრიკ კლუივერტი დაბრუნდეს. შეიძლებას იმიტომ ვამბობთ, რომ მიუხედავად ორთამაშიანი დისკვალიფიკაციის ვადის გასვლისა, ინებებს თუ არა ჰიდინკი მის შემადგენლობაში ჩართვას, ცნობილი არ არის. შეგახსენებთ, რომ ჰოლანდიის ნაკრებისა და „მილანის“ თავდამსხმელი პირველ შეხვედრაში ბელგიელი ლორენცო სტალენსისთვის იდაყვის მირტყმისთვის გააძევეს მოედნიდან და ორი შეხვედრით ჩამოაშორეს მსოფლიოს ჩემპიონატს.

„მე მოახლოებულ მერვედფინალზე ვფიქრობ და არა წარსულზე, თუმცა დარწმუნებული არ ვარ, რომ იუგოსლავიელთა წინააღმდეგ მათამაშებენ“ — უთხრა კლუივერტმა ჟურნალისტებს.

საქმე ის გახლავთ, რომ სანამ კლუივერტი დისკვალიფიცირებულთა სკამზე იჯდა, მოედანზე ჩინებულად ირჯებოდა მისი შემცვლელი ფილიპ კოკუ. დღეს კოკუ ის კაცია, რომლისაც იუგოსლავიელებს ალბათ ყველაზე მეტად ეშინიათ.

კიდევ საშიში ჰოლანდიელი მარკ ოვერმარსია, ზესწრაფი მარცხენა გარემარბი და ცხადია დენის ბერხკამპი, თუმცა მას ტრავმის მერე საუკეთესო ფორმა ჯერ კიდევ არ აღუდგენია.

სხვათა შორის, კლუივერტი შესაძლოა თამაშის ბოლოსკენ სწორედ ბერხკამპის ნაცვლად შევიდეს მოედანზე.

იუგოსლავიელებს კი ამასობაში რამდენიმე კაცის თამაში ეეჭვებათ. უმთავრესი მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელი პრედრაგ მიატოვიჩი გახლავთ. მის გარდა სათუოა ნახევარმცველის დრაგან სტოიკოვიჩის საქმეც, თუმცა ნაკრების ბანაკიდან გამოსული ბოლო ხმების თანახმად, ალბათ მინდორზე ორივეს ვიხილავთ.

როგორც ჩანს, ნელ-ნელა „მილანის“ ცნობილი ნახევარმცველი დეჯან სავიჩევიჩიც მომჯობინდა. აშშ-ის ნაკრებთან იგი 30 წუთით შეუშვეს კიდეც მოედანზე და შეიძლება ცოტა ხნით დღესაც ათამაშონ. აღსანიშნავია, რომ აქამდე სავიჩევიჩს ორი თვის განმავლობაში ფეხბურთი არ უთამაშია.

მწვრთნელს, სლობოდან სანტრაჩს კიდევ ერთი, ოღონდ ამჯერად შემოქმედებითი პრობლემა აქვს გადასაჭრელი. პრობლემა ასეთია: ვინ უნდა ითამაშოს თავდასხმაში მიატოვიჩის მხარდამხარ, სავო მილოშევიჩმა თუ დარკო კოვაჩევიჩმა?!

ჰოლანდიელთა მწვრთნელი ჰიდინკი მეტოქეზე ასე ამბობს: „მის ფეხბურთელებს ვიცნობ, ზოგიერთს პირადად, ვიცი, რომ ისინი ძალიან ტექნიკურნი და ტაქტიკურად განათლებულნი არიან, მაგრამ ჩემზე ყველაზე მეტად, გერმანელებთან შეხვედრის დროს მათმა შეკრულობამ იმოქმედა. ამიტომ ჩვენ უკიდურესად დაკვირვებით გვმართებს თამაში“.



სინიშა მიჰაილოვიჩი შინ დატოვებულ ოჯახს მეოთხედფინალს ჰპირდება

სარბიელის არქივიდან



ჰოლანდიელები ბერხკამპი (მარცხნივ) და სტამი დიდი მატჩის წინ ერთმანეთს მკლავის ძალას უსინჯავენ

სარბიელის არქივიდან

### გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

ჰოლანდია: ვანდ დერ სარი, რაიციგერი (ან ვინტერი), სტამი, ფ. დე ბური, ნუმანი, რ. დე ბური, იონკი, დავიდსი, ოვერმარსი, კოკუ, ბერხკამპი

იუგოსლავია: კრალი, მირკოვიჩი, პეტროვიჩი, ჯოროვიჩი, მიჰაილოვიჩი, იოკანოვიჩი, სტანკოვიჩი, იუგოვიჩი, სტოიკოვიჩი, მიატოვიჩი, კოვაჩევიჩი (ან მილოშევიჩი)

**ბაჩუნა ძიძია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონატის დღიური

**27 ივნისი**

*ლაშა გოდყაძე*

FRANCE 98

### დაიპყარ მსოფლიო აქ და ახლა

რა უცბად გარბის დრო. თითქოს გუშინ დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი, მოიხედავ და გუნდები უკვე მეოთხედფინალისთვის იბრძვიან. უცნაური რამ არის მსოფლიოს ჩემპიონატი, განსაკუთრებით კი ფეხბურთის — წლების მანძილზე ელი, დღეებს ითვლი, გინდა, დარჩენილმა დრომ მალე გაირბინოს, მერე კი უცბად ნანატრი დროც დადგება, დაიწყება ის, რასაც ამდენი ხანი ელოდი — მერე კი ყველაფერი მაისის თოვლივით გაქრება. ვერც კი მოასწრებ მთლიანად ისიამოვნო, რომ თვალისდახამხამებაში ჩაივლის, უფრო სწორედ გაიქროლებს. მერე კი კვლავ ლოდინი. თუმცა სიმართლე მაინც უნდა ითქვას — ამხელა სიამოვნებისთვის, გულშემატკივარი გაგანია მსოფლიოს ჩემპიონატის დროს რომ განიცდის, ნამდვილად ღირს ლოდინი. ახლა, საუკეთესო გუნდების შემყურე ხვდები, რომ ასეთი ტურნირები მართლაც რამდენიმე წელიწადში ერთხელ უნდა ტარდებოდეს, თორემ ყოველ წელს რომ იმართებოდეს, ეშხი და ელფერი დაეკარგებოდა. ოთხი წლის განმავლობაში იცვლებიან გუნდები, ზოგი პროგრესს განიცდის, ზოგი რეგრესს, ამის წყალობით კი მსოფლიოს ჩემპიონატი მუდამ დაძაბულია.

ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატი განსაკუთრებული მოვლენაა სპორტსა და საერთოდ ცხოვრებაში. ხშირად მომხდარა, უდიდეს საფეხბურთო ტურნირს ესა თუ ის პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოვლენა დაუჩრდილავს. ეს იმიტომ ხდება, რომ ტურნირს ოთხი წლის განმავლობაში ელიან, ცვლილებები პოლიტიკაში კი ყოველდღიური ამბავია.

საფეხბურთო ტურნირზე საასპარეზოდ გუნდები წლების განმავლობაში ემზადებიან. უპირველეს ყოვლისა კი იქ მოსახვედრად იბრძვიან. ზოგი, ვინც ცხადია, ღირსია, გადალახავს კიდეც შესარჩევ ბარიერს, ფინალური ეტაპის საგზურს მოიპოვებს, ზოგი კი მის მიღმა რჩება.

მსოფლიოს ჩემპიონობა თავისთავად დედამიწაზე უძლიერესობასთან ასოცირდება. აქედან გამომდინარე, თუ ოქროს თასს შესწვდი, გამოდის, რომ ყველა გუნდს სჯობიხარ. აქ შემთხვევითობა გამორიცხულია — მსოფლიოს ჩემპიონი ყველაზე ძლიერი იქნება. იქნებ ერთი წლის შემდეგ მას დიდებიდან აღარაფერი შემორჩეს, მაგრამ შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატამდე იგი ოქროს თასის მფლობელი იქნება, ნიშნად მოცემულ მომენტში მიღწეული ბრწყინვალე გამარჯვებისა.

მსოფლიოს ჩემპიონი გუნდის ფეხბურთელები სულაც არ არიან დედამიწაზე უძლიერესნი. უდიდესი საფეხბურთო ტურნირი გუნდური შეჯიბრებაა და არა ცალკეულ ფეხბურთელთა პაექრობა. ცხადია ძლიერი მოთამაშეების გარეშე ვერაფერს გახდები, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატს ის ნაკრებები იგებენ, გუნდურ, ერთიან თამაშში ყველას რომ სჯობნიან. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ თუ მაღალი დონის მოთამაშე არ ხარ, ვერც ნაკრები იხეირებს შენით. აქედან გამომდინარე, ის გუნდი, რომელშიც მხოლოდ რიგითი ფეხბურთელები თამაშობენ, ვერასოდეს გახდება მსოფლიოს ჩემპიონი. გუნდში, რომელსაც სერიოზულად განუზრახავს მსოფლიოს ჩემპიონობა, აუცილებლად უნდა იყოს ერთი ან მეტი ვარსკვლავი და რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი, შემსრულებელი, თუნდაც შემოქმედი, წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიოს ჩემპიონობაზე ფიქრი ფიქრადვე, სანატრელი თასი კი სხვა გუნდს დარჩება.

### პარგი რა, პელე...

ახლა, საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალები მთავრდება. ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობა თითქმის სამჯერ შემცირდა, არადა, სულ რაღაც სამიოდ კვირის წინ, ანუ ჩემპიონატის დაწყებამდე აწ უკვე ბევრი გავარდნილი გუნდის თავკაცები წარბშეუხრელად აცხადებდნენ, მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლა ძალგვიძს, თასის რეალური კანდიდატები გახლავართო. კანდიდატებს ყველა კარგად ხედავს. ისინი კი, საკუთარი თავის იმედიც რომ არ ჰქონდათ და უბრალოდ, ხალხზე მოქმედებდნენ, ჩემპიონატის მაყურებლებად იქცნენ, ამ ნაკრებთა ფეხბურთელები, თავს უძლიერესებად რომ აცხადებდნენ, უკვე განზე არიან, გზას სხვას უთმობენ, გულში კი გმინავენ, რომ მართლაც არ არიან იმ დონის, როგორადაც თავი წარმოედგინათ.

არდასრულებულ მერვედფინალში მეტ-ნაკლებად უკვე გამოიკვეთა ის გუნდები, მართლაც რომ შეუძლიათ მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლა. იტალია, ბრაზილია, არგენტინა, გერმანია — ეს ოთხეული მუდამ ითვლება მსოფლიოს ჩემპიონობის კანდიდატად. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ რას ფიქრობს, ვის ვინ აკლია. ეს ის გუნდებია, რომელთაც მსოფლიოს ჩემპიონატი ბოლომდე აქვთ შესწავლილი, ზეპირად იციან ყველა ნიუანსი, ერთი სიტყვით, ზემოხსენებულ ოთხეულს მსოფლიოს ჩემპიონატის ავიც და კარგიც, კაცმა რომ თქვას, ბრწყინვალედ მოეხსენებათ, შესაბამისად ტიტულის მოგების რეალურ კანდიდატებად ითვლებიან.

მათ შორის შეგნებულად არ დავასახელე მასპინძელი საფრანგეთი, ასევე ინგლისი, თუნდაც საკმაოდ სიმპათიური ჰოლანდიის და იუგოსლავიის გუნდები. ცხადია, ყველა მათგანს და მერ-

# დიდი ოთხეული და საფრანგეთი

ვედფინალს შერჩენილ, მაგრამ იქ არ ნახსენებ სხვა გუნდებსაც ძალუძთ მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება, მაგრამ დიდ ოთხეულთან შედარებით მათ მაინც ნაკლები შანსი აქვთ.

საფრანგეთი წელს იმიტომ ითვლება ჩემპიონობის კანდიდატად, რომ ტურნირის მასპინძლობს, თან ნაკრებიც ძლიერი ჰყავს. საფრანგეთი იმიტომ არ განეკუთვნება უძლიერესებს, რომ მას სტაბილურობა აკლია — შეუძლია სადღაც სრულიად შემთხვევითი მარცხი განიცადოს, სუსტი მეტოქე ვერ დაამარცხოს, ტურნირს მიღმა დარჩეს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, საფრანგეთს რაღაც აკლია, ის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სიძლიერისთვის და ის, რაც იტალიას, ბრაზილიას, გერმანიას და არგენტინას მუდამ გააჩნდათ.

ერთი სიტყვით, არგენტინა, ბრაზილია, იტალია და გერმანია... იყოს საფრანგეთიც — მსოფლიოს ჩემპიონი უეჭველად ამათგანი იქნება. არ მინდა, პელესავით გამომივიდეს, 32 გუნდიდან 30 რომ დაასახელა და ჩემპიონი აქედან ერთ-ერთი იქნებაო, თქვა, უბრალოდ ნაჩვენები თამაშით, ფეხბურთელთა მოქმედებით და საერთოდ მთლიანობაში გუნდის მომზადებით ყველას ზემოხსენებული გუნდები სჯობს.

და მაინც, მსოფლიოს ჩემპიონი ერთი უნდა იყოს, თვით უძლიერესთა შორისაც კი უნდა გაირკვეს ყველაზე უკეთესი. სხვანაირად არ გამოვა.

და მაინც ვინ?

რატომ უნდა მოიგოს მსოფლიოს ჩემპიონატი საფრანგეთმა? - ემე ჟაკემ ისეთი ფეხბურთელები აარჩია, დავალებას ზედმიწევნით რომ ასრულებენ. ამას გარდა, მწვრთნელმა გამრჯე მოთამაშეებს ერთი-ორი ბრწყინვალე ფეხბურთელიც დაუმატა და გუნდი შეიქმნა, თან, საკმაოდ მობილური, ბევრის შემძლე გუნდი. ნაკრების ძლიერება თავისთავად კარგია, მაგრამ ფრანგებს მეტოქეებთან შედარებით კიდევ ერთი დიდი უპირატესობაც აქვთ — მსოფლიოს ჩემპიონატი მათთან ტარდება, საფრანგეთის მინდვრებზე, შინ თამაში კი, თან ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირის დროს, რამდენს ნიშნავს, ყველას კარგად მოეხსენება.

რატომ უნდა მოიგოს მსოფლიოს ჩემპიონატი ბრაზილიამ? — სამხრეთამერიკელთა მწვრთნელი მარიო ზაგალო, რაც გუნდი ჩაიბარა, ეს კი 1994 წელს მოხდა, მას შემდეგ გაიძახის, ჩვენ მსოფლიოში უძლიერესნი ვართ, ამას მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე დავამტკიცებთო. აჰა, დაიწყო კიდეც დიდი ხნის ნანატრი შეჯიბრება, ბრაზილიაც ძლიერად თამაშობს, თუმცა იმას ნაღდად ვერ იტყვი, ყველას სჯობსო. კი, ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს, მაგრამ სხვა პრეტენდენტებს ნამდვილად ვერ სჯობს. ისე, მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთადერთხელ მოხდა, ოკეანისგაღმელმა სხვა კონტინენტზე რომ იმარჯვა — 1958 წელს ბრაზილიამ მსოფლიოს ჩემპიონობა ევროპაში, კერძოდ კი შვედეთში მოიგო. იქნებ შეძლონ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა 40 წლის წინანდელი მიღწევის გამეორება?

რატომ უნდა მოიგოს მსოფლიოს ჩემპიონატი გერმანიამ? - ბერტი ფოგტსის გუნდი ძლიერია. მათ თავიანთი ძალა ჯგუფშიც დაამტკიცეს. ბევრი მათ ასაკის გამო (გერმანიის ნაკრების საშუალო ასაკი 29 წელია) „ჩამოწერილად“ მიიჩნევს. თუმცა ეგებ სწორედ ვეტერანებში იმალება გერმანელთა წარმატების საიდუმლო. რაც არ უნდა იყოს, ბუნდესნაკრების თითქმის ნახევარი, სულ მცირე, მეორე მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშობს, აღარას ვამბობ ლოთარ მათეუსზე, კაცზე, რომლისთვისაც ეს ასპარეზობა მეხუთეა.

რატომ უნდა მოიგოს მსოფლიოს ჩემპიონატი არგენტინამ? — დანიელ პასარელამ ნამდვილად ძლიერი გუნდი შექმნა, ახალგაზრდა, ამსთანავე გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული. ჯერჯერობით არგენტინა ერთადერთი გუნდია ჩემპიონატზე გოლი რომ არ გაუშვია. ბრწყინვალე თავდასხმა, ძლიერი ნახევარდაცვა, შეხმატკბილებული დაცვა და კარგი მეკარე — აი, ყველაფერი ის, რაც არგენტინელებს ახასიათებთ. არა, ჯერ არგენტინელებმა ინგლისის ძალიან სერიოზული ბარიერი უნდა დაძლიონ.

რატომ უნდა მოიგოს მსოფლიოს ჩემპიონატი იტალიამ? — ჩეზარე მალდინი უდაოდ ძლიერი მწვრთნელია, ამასთანავე „სკუადრა ატურაში“ ბრწყინვალე მოთამაშეთა ნაკლებლობა არ იგრძნობა. გუნდიც შეთამაშებულის შთაბეჭდილებას სტოვებს, თან შედეგიანადაც ირჯება. ცრურწმენას თუ ვენდობით, მსოფლიოს ჩემპიონი იტალია უნდა გახდეს: 1990-ში აპენინელები მესამენი იყვნენ, 1994-ში მეორენი, მგონი, დადგა დრო ოქროსთვის.

კი მაგრამ სხვები? ინგლისმა, იუგოსლავიამ, ჰოლანდიამ, ხორვატიამ რაღა ქნან? — არც, არაფერი. მათ ჯერ მეოთხედფინალის საგზური უნდა მოიპოვონ, მერე კი...



იტალია 1990 წელს მესამე იყო, 94-ში — მეორე. რა იქნება ახლა?


რჩეულ ფრანგ მობურთალებს გულს შინ თამაში უმაგრებთ


დანიელ პასარელას ბიჭები მსოფლიოს ჩემპიონობის კანდიდატები არიან

# სეზარ-სრულყოფილი

ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მარიო ზაგალო იმდენად ბედნიერი გახლდათ შაბათს თავისი გუნდის თამაშის შემხედვარე, რომ მეტად უპრეცენდენტო რამ ჩაიდინა — მეოთხედფინალში გასვლისთვის თითოეულ ფეხბურთელს უამრავი საქებარი სიტყვა უძღვნა. ამგვარი საქციელი, ცოტა არ იყოს, გასაკვირია ყველასთვის გაწონასწორებული მწვრთნელისგან, რომელსაც მეტსახელად „ბებერ მგელსაც“ უძახაიან,

ყველაზე გულუხვი ზაგალო ჩილეს ნაკრებთან 4:1 გამარჯვებაში ლომის წილის დამდები ნახევარმცველის სეზარ სამპაიოს მიმართ გახლდათ. ამ ფეხბურთელმა მართლაც საუცხოოდ ითამაშა და ორი გოლიც გაიტანა, რაც მისი ყაიდის მოთამაშისთვის ძალიან კარგი შედეგია.

ქაბათა ქება არც სამ „R“-ად წოდებული ტრიოს დაჰკლებია. ნახევარმცველი რივალდო, თავდამსხმელი რონალდო და განაპირა მცველი რობერტო კარლოსი ჩილელებთან შეხვედრაში სამპაიოს მსგავსად საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყვნენ და ეს არც მთავარ მწვრთნელს გამორჩენია.

საერთოდ „ბებრი მგელი“ ძალიან იშვიათად საუბრობს მისი ქვეშევდრომების ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე, მაგრამ ამჯერად თავის შეკავება არც უცდია. მისი საქციელი კი ძირითადად იმით იყო გამოწვებული, რომ ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა ნორვეგიელებთან წააგეს და უძლიერესი გუნდის რეპუტაცია ეჭვის ქვეშ დააყენეს. მართალია, გულშემატკივართა უმეტესობა მარცხს იმით ხსნიდა, რომ ბრაზილიამ ჯერ კიდევ პირველი ორი შეხვედრის შემდეგ გაინაღდა მერვედფინალში თამაში, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელბსაც ზაგალოს ქვეშევდრომების წარუმატებლობას უბრალოდ უნიათობითა და ტაქტიკური მონახაზის სისუსტით ხსნიდნენ. აი, სწორედ ეს აღელვებდა ზაგალოს ყველაზე მეტად და ამიტომაც იყო, ჩილესთან გამარჯვების შემდეგ ემოციები რომ ველარ მოთოკა. მატჩის წინ მწვრთნელმა კარგად უწყოდა — წაფორხილების შემთხვევაში ამას არ აპატიებდნენ და ყველა ცოდვას ცხვირში ამოადენდნენ. ამგვარი შერცხვენის თავიდან ასაცილებლად ზაგალო საგანგებოდ ემზადებოდა და თავის ბიჭებს მეტად სერიოზულად მოძღვრავდა. ნორვეგიელებთან მარცხის ირგვლივ ატეხილ აურზაურს ისიც ემატებოდა, რომ ბრაზილიის მასმედიამ მკაცრად გააკრიტიკა გუნდის სამი წამყვანი მოთამაშის — რონალდოს, რობერტო კარლოსისა და რივალდოს სუსტი თამაში. ბრაზილიური პრესისა და ტელევიზიის განრისხების საბაბი ძირითადად მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ყოფილა. რონალდომ ხომ აქამდე მხოლოდ ერთადერთი ბურთის გატანა მოახერხა. ეს კი სულაც არ გახლავთ ის შედეგი, რასაც მისგან მოელიან.

ისე, თუ ბრაზილიელთა რიგებში თავის შესაძლებლობებთან შედარებით სუსტად მოასპარეზე ფეხბურთელების დასახელებაზე მიდგა საქმე, ამ მხრივ, დაგვეთანხმებით, პირველი ადგილი უკონკურენციოდ რობერტო კარლოსს უჭირავს. რომარიომ, რომელიც ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყების წინ სერიოზულად დაშავების გამო საფრანგეთში ვერ გაემგზავრა და ახლა ბრაზილიის ტელევიზიაში საფეხბურთო მატჩების რეპორტაჟებს უძღვება, რობერტო კარლოსის თამაშს მეტად უსუსური უწოდა. ხოლო ნორვეგიასთან შეხვედრისას, რომარიოს აზრით, „რეალის“ მცველი თურმე ყველაზე სუსტად გამოიყურებოდა.

— მრავალრიცხოვანი გულშემატკივრების აზრს მეც ვუერთდები და მიმაჩნია, რომ რობერტო კარლოსმა ჯგუფური ტურნირის შეხვედრები არც თუ სახარბიელოდ ჩაატარა, მაგრამ ამის მიუხედავად, იგი მორალურად არ გატყდა, რაც მერვედფინალურმა მატჩმაც ცხადყო. ჩვეულ მარცხენა ფლანგზე ჩილელებთან იმდენად საუცხოოდ იბრძოლა, რომ მეტოქეს არანაირი შანსი არ დაუტოვა. სრულიად დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს გახლდათ რობერტო კარლოსის საფრანგეთში ნათამაშევი ყველაზე საუკეთესო მატჩი — განაცხადა ბრაზილიელთა თავკაცმა, რომლის აზრით მერვედფინალში რონალდოც გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდა და არც სხვა ფეხბურთელები ყოფილან სტატისტების როლში.

— რონალდო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი კი არის, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი ჯერ მხოლოდ ოცდაერთი წლისაა და არც უდიდეს საფეხბურთო ტურნირზე ასპარეზობის გამოცდილება გააჩნია. იგი ოთხი წლის წინ ამერიკაში მსოფლიოს ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ არც ერთ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია. ყოველივე ამის გამო, რონალდოს გაუჭირდა თავიდანვე სასურველი თამაშის პოვნა და ყოველ მატჩში ორ-ორი გოლი გატანა. თუმცა, როგორც თავად ნახეთ, მერვედფინალში ჩილელებთან მოედანზე უკვე სულ სხვა რონალდო იყო. სწორედ ისეთი, შიშის ზარს რომ სცემს მეტოქეთა მცველებს და მისი შეჩერება შეუძლებელი ხდება — ეს გახლავთ რონალდოს ზაგალოსეული შეფასება.

ჩვენ კი ვიტყოდით, რომ როგორც არ უნდა ირჯებოდეს რონალდო, მაინც რონალდოა და მინდორზე მისი უბრალოდ ყოფნაც კი დიდი საფრთხეს უქმნის მეტოქე გუნდების მცველებს, რომელთაც მთელი თამაშის განმავლობაში უკიდურესად დაძაბვა და დიდი ყურადღების გამოჩენა მართებთ, რადგან ბრაზილიელს ნებისმიერ მომენტში შეუძლია აფეთქდეს და მაშინ...



სარბიელის არქივიდან

მარიო ზაგალო

მაგრამ ჩილელებთან შეხვედრის შემდეგ ყველაზე მეტი თბილი სიტყვა მწვრთნელისგან „ინტერის“ მრისხანე ფორვარდს არ მიუღია. ზაგალოს ქების ძირითადი ადრესატი, რა თქმა უნდა, სეზარ სამპაიო გახლდათ, რომელიც იაპონიის ჯეი ლიგაში ასპარეზობს.

— მას შემდეგ, რაც სათამაშოდ ამომავალი მზის ქვეყანაში გავეშურე, ათასგვარი ეჭვი მღრღნიდა გულს. იაპონია ხომ საკმაოდ შორსაა და არც ჯეი ლიგაა უპირველესი მსოფლიოში. მწვრთნელები იქ მოთამაშე ფეხბურთელებს ნაკლებად აკვირდებიან. ამიტომ მეგონა, რომ ჩემი საერთაშორისო კარიერა დასასრულს მიუახლოვდა და ეროვნულ ნაკრებში ვეღარასოდეს მოვხვდებოდი, მაგრამ, ჩემდა სასიხარულოდ, ზაგალომ ოცდაორ საუკეთესოს შორის მაინც მიმიწვია და ვფიქრობ, არც მე გავუმტყუნე იმედები — განაცხადა ჩილელებთან გამართულ მატჩის გმირმა სეზარ სამპაიომ.

აღსანიშნავია, რომ ამ ფეხბურთელმა ჯგუფური ტურნირის უკანასკნელი შეხვედრა ნორვეგიელებთან გამოტოვა.

ამ თამაშში ბრაზილიელთა დაცვას შავი დღე დაადგა. ზაგალომ თავის გამოსვლაში სწორედ ამ მომენტზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ სეზარ სამპაიო ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა, რომლის გარეშეც გუნდს დიდი წარმატების მიღწევა ძალიან გაუჭირდება.

— სეზარ სამპაიომ საუცხოოდ ითამაშა. ამას უბრალოდ როდი ვამბობ, იგი პოზიციურადაც მშვენივრად ირჯებოდა და საჭირო დროს თავდასხმასაც ეშველებოდა. ერთი სიტყვით, მან ჩილელებთან სრულყოფილად ითამაშა — თქვა ზაგალომ, რომელსაც ეტყობა ზედმეტი ემოციები მიეძალა, რადგან არა გვგონია, მას გუნდში სეზარ სამპაიოზე ნაკლები მოთამაშეები ჰყავდეს.

**ირაკლი ხმელიძე**



სარბიელის არქივიდან

ჩილელებთან მატჩში ორგოლიანი სეზარ სამპაიო

---

იგი ერთი წლის წინ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებდა. ცხადია, ნაკრებში მოსახვედრად თავგამოდებით იბრძოდა, მაგრამ თუ ოცნებას რამდენიმე თვეში აისრულებდა, ვერ წარმოედგინა.

— როგორც ყველა, ნაკრებში თამაშზე მეც ვოცნებობდი. ძალიან მინდოდა „სკუადრა აძურას“ მაისური მომერგო. ახლა, მსოფლიოს ჩემპიონატის დროს უბედნიერესი კაცი ვარ, გუნდში რომ მანდობენ ადგილს. ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს — მერვედფინალში გამარჯვების მომტანი გოლი სწორედ ამ სიტყვების ავტორმა, ლუიჯი დი ბიაჯომ შექმნა.

## დი ბიაჯოს პასს უქებენ

27 წლის თავგადაპარსულ ნახევარმცველს ყურადღება პირველმა ჩეზარე მალდინიმ მიაქცია. მწვრთნელმა „რომას“ ნახევარმცველი რამდენჯერმე გამოიძახა კიდეც ნაკრებში, თუმცა წლევანდლამდე მას „სკუადრა აძურაში“ თამაშის შანსი არ მიეცა. წლეულს კი, იანვარში სლოვაკებთან 3:0 მოგებულ შეხვედრაში დი ბიაჯოს დებიუტი შედგა. მაშინ მას ცოტა დააკლდა, რომ გოლი შეეგდო, თუმცა საგოლე პასი მაინც შეასრულა. დებიუტანტის კვალობაზე კარგმა თამაშმა განაპირობა ის, რომ იგი ჩეზარე მალდინის რჩეულთაგანი გახდა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე მის ძირითადში გამოჩენას არავინ ელოდა, მაგრამ კამერუნთან კარგმა თამაშმა სკეპტიკოსთა მოსაზრებები გააქარწყლა. ლუიჯი დი ბიაჯო იტალიის გუნდის ნახევარდაცვის ბურჯად იქცა. კამერუნთან მატჩში მან გოლიც შეაგდო, რომელიც იტალიელთათვის მსოფლიოს ჩემპიონატებზე გატანილი მეასე ბურთი აღმოჩნდა.

— საიუბილეო გოლის შესახებ არაფერი ვიცოდი. მოგვიანებით გავიგე ყველაფერი. ცხადია, გამიხარდა, მაგრამ ჩემთვის უმთავრესი გუნდის გამარჯვებაა და არა ესა თუ ის საიუბილეო ბურთი. მთავარია, იტალიამ მოიგოს, ვინ გაიტანს, ამას რა მნიშვნელობა აქვს — იტყვის ნახევარმცველი ზემოხსენებული გოლის შემდეგ.

აგერ უკვე ოთხი წელია დი ბიაჯო „რომაში“ თამაშობს. არადა, კარიერას დედაქალაქის მეორე კლუბში, „ლაციოში“ იწყებდა. 1990 წელს, 19 წლის დი ბიაჯომ პირველად ითამაშა სერია A-ში. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეს მისთვის პირველი და უკანასკნელი მატჩი გამოდგა „ლაციოს“ შემადგენლობაში. შემდეგი ორი სეზონი დი ბიაჯომ სერია C-ს კლუბ „მონცაში“ გაატარა. მერე კი, უკვე როგორც „ჯენოას“ ფეხბურთელი, კვლავ სერია A-ს დაუბრუნდა. კიდევ ერთი წელი და ნახევარმცველს „რომა“ იწვევს, კლუბი, რომელშიც იგი დღემდე თამაშობს.

— „რომაში“ ვიგრძენი, რომ მე ფეხბურთელი ვარ. სწორედ ამ კლუბმა დამაყენა გზაზე, სწორედ იქ კარგი თამაშის წყალობით მივაღწიე ნაკრებში თამაშს — აცხადებს დი ბიაჯო.

მართლაც, გასული სეზონი მან კარგად ჩაატარა, ჩეზარე მალდინის გუნდშიც შესაბამისად დაიმკვიდრა ადგილი და აგერ, იტალიელთა ნახევარდაცვის სული და გულია.

— დი ბიაჯომ ბრწყინვალედ ითამაშა, მისი პასი კი საერთოდაც გენიალური იყო. იგი ნამდვილი შემოქმედია — ეს სიტყვები კრისტიან ვიერის ეკუთვნის, იტალიელთა უპირველეს ბომბარდირს.

ლუიჯი დი ბიაჯომ მართლაც შეძლო იტალიის ნაკრებში დამკვიდრება. მოედნის კარგი ხედვის უნარით და ნიჭის წყალობით ნახევარდაცვის ბურჯად იქცა. მისმა კარგმა თამაშმა კი აპენინელებს მერვედფინალში გამარჯვება დაუბევა.

გადაჭარბებული არაფერი ვარგა, ასე რომ, დი ბიაჯოს ზედმეტი ქება რომ არ გამოგვივიდეს, აქ შევჩერდეთ. დანარჩენი რა და როგორ იქნება, ამას მომავალი დაგვანახებს. მსოფლიოს ჩემპიონატი ხომ კიდევ ორი კვირა გაგრძელდება.

---

## იცით თუ არა, რომ...

...მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ბრაზილიელთა მიერ გამართულ შეხვედრებში აქამდე მხოლოდ ერთხელ მოხდა, რომ ერთ მატჩში ორმა ფეხბურთელმა ორ-ორი გოლი გაიტანა. ეს 1962 წელს ჩილეში ჩატარებულ მსოფლიოს პირველობაზე იყო. მაშინ სამხრეთამერიკელებმა მასპინძელთა ნაკრებს ნახევარფინალურ თამაშში სძლიეს, წყვილი ბურთი კი ლეგენდარულმა გარინჩამ და ვავამ შეაგდეს. ასეთი შემთხვევა წლეულს საფრანგეთშიც განმეორდა. გუშინწინ მერვედფინალში ბრაზილიელებმა ისევ ჩილე იმსხვერპლეს 4:1 — ორ-ორჯერ თავი რონალდომ და სესარ სამპაიომ გამოიჩინეს.

* * *

...ბრაზილიის ნაკრების არც ერთ მოთამაშეს 1958 წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გამართულ ერთ მატჩში ჰეთ-თრიქი არ შეუსრულებია. მაშინ შვედეთში სამი გოლი ფეხბურთის მეფე პელემ შეაგდო. გუშინწინ კი ამ რეკორდის განმეორების შანსი რონალდოს მიეცა, მაგრამ მან ორი ბურთის მეტი ვერ გაახერხა. არადა, ფეხბურთელს მეტი შეეძლო, თუმცა ორჯერ მისი უძლიერესი დარტყმული კარის ძელმა მოიგერია.

* * *

...1968 წელს მექსიკაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გუშინწინ ბრაზილიელებმა პირველად მოახერხეს ერთ შეხვედრაში ოთხი გოლის გატანა. თუმცა ამჯერად ჩილეს 4:1 განადგურება თორმეტი წლის წინანდელთან შედარებით უფრო მოკრძალებული შედეგი გახლავთ. მაშინ სამხრეთამერიკელებმა პოლონეთი 4:0 გააბითურეს.

* * *

...ჩილეს ეროვნულ გუნდს 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ამ უდიდესი საფეხბურთო ტურნირის ფინალურ ეტაპზე არც ერთი მატჩი არ მოუგია. უკანასკნელად მათ ამ ოცდათექვსმეტი წლის წინ მეოთხედფინალურ სტადიაზე იმარჯვეს. იქედან მოყოლებული კი ჩილეს ნაკრებმა 12 შეხვედრა გამართა, რომელთაგან ექვსი ფრედ ითამაშა, ხოლო დანარჩენ ექვსში კი დამარცხდა.

* * *

...ჩილეს ნაკრების ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა მარსელო სალასმა წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე ოთხი გოლის გატანა მოახერხა და თავისი თანამემამულის გილერმო სუბიაბრეს რეკორდი გაიმეორა. ეს მოთამაშე 1930 წელს ურუგვაიში გამართულ მსოფლიოს პირველობაზე ასპარეზობდა და მეტოქეთა მეკარეების დამწუხრება მანაც ოთხჯერ შეძლო.

* * *

...იტალიის ნაკრების უპირველესი ბომბარდირი კრისტიან ვიერი მერვედფინალურ შეხვედრაში ნორვეგიელთათვის გატანილმა გოლმა მესამე იტალიელ ფეხბურთელად აქცია, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამართულ ზედიზედ ოთხ მატჩში გამოუჩენია თავი. მსგავსი მიღწევით აქამდე „სკუადრა აძურას“ მხოლოდ ორი მოთამაშე თუ მოიწონებდა თავს. ესენი ალესანდრო ალტობელი და 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გმირი სალვატორე სკილაჩი გახლავთ.

* * *

...ნორვეგიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მთელი თავისი არსებობის მანძილზე მხოლოდ სამჯერ მოუპოვებია და სამჯერვე დიდ საფეხბურთო ზეიმზე ჩასულ იტალიელებს გაუმწარებიათ. „სკუადრა აძურამ“ სკანდინავიელებს 1938 წელს 2:1 მოუგო, ხოლო 1994 და 1998 წლებში გამართულ მსოფლიოს პირველობებზე ერთნაირი ანგარიში — 1:0 აკმარა.

# აკოსტა: ჩილეს ქებამ აწყინა

ჩილეს ნაკრებს წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე თითქოს ურიგოდ არ უასპარეზია. გუნდმა წარმატებით გაიარა ჯგუფური ტურნირი და მერვედფინალის საგზური მოიპოვა. მეტი რაღა უნდა მოეთხოვათ გულშემატკივრებს ნაკრებისგან, რომელიც 1982 წლის შემდეგ ელიტაში თამაშს არ ღირსებია. თუმცა ფანები და, რაც ყველაზე მთავარია, გუნდის მთავარი მწვრთნელი ნელსონ აკოსტა ასე სულაც არ ფიქრობდნენ და მიუხედავად იმისა, რომ მერვედფინალში თვით მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ბრაზილიასთან დაპირისპირება ელოდათ, ჩილელთაგან მხოლოდ წარმატებას ითხოვდნენ. ალბათ, ამიტომაც იყო, შაბათს 1:4 განადგურებით გაწბილებულმა მწვრთნელმა მეორე დღესვე გუნდიდან წასვლის შესახებ განცხადება რომ გააკეთა...

— ჩილეს ნაკრებში ძალიან ცუდი პირობები მქონდა. არა, ჩვენ მატერიალურად მთლიანად უზრუნველყოფილი ვიყავით და ამ მხრივ არანაირი პრეტენზიები არ შეიძლება გაგვიჩნდეს, მაგრამ მე საუბარი სულ სხვა რამეზე მაქვს. თავკაცები თუ თვითონ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები წამდაუწუმ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ჩვენი თამაშით. ჯერ კიდევ მაშინ, როცა დიდი ხნის შესვენების შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გამოსვლის უფლება მოვიპოვეთ, ეს ყველამ დიდ მიღწევად ჩათვალა. შემდეგ საფრანგეთშიც წარმატებით ვიასპარეზეთ და, ჩვენდა სასახელოდ, ჯგუფურ ტურნირში მეორე ადგილი დავიკავეთ, რამაც მომდევნო ეტაპზე გასვლის საშუალება მოგვცა. ყოლივე ამის შემდეგ ჩილეში შეიქმნა აზრი, თითქოს გუნდის პოტენციალი ამოიწურა და ჩვენ მეტის გაკეთება აღარ ძალგვიძს. დამეთანხმებით, ძნელია ისეთ ვითარებაში მუშაობა, როდესაც ნაკრების მერვედფინალში გასვლით ყველა კმაყოფილია და უფრო მაღალ მიზანს არავინ ისახავს. ეს ფეხბურთელების ფსიქოლოგიაზეც დამთრგუნველად მოქმედებს და მეც მუშაობის გაგრძელების ყოველგვარ სურვილს მიკლავს — განაცხადა განაწყენებულმა აკოსტამ გუშინ ჟურნალისტებისთვის მოწყობილ პრესკონფერენციაზე.

ეს მწვრთნელი ჩილეს ნაკრების ხელმძღვანელად რამდენიმე წლის წინ დაინიშნა. მან გუნდში მისვლისთანავე ბევრი რამ თავისებურად შეცვალა და ქვეშევრდომები სულ სხვაგვარად აათამაშა. თანაც, აკოსტას ღვთისგან ნაბოძები საჩუქარი დახვდა უბრწყინვალესი თავდამსხმელების, ივან სამორანოსა და მარსელო სალასის სახით. ამ უკანასკნელმა ხომ სულაც საუცხოოდ ჩაატარა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი და „ივან მრისხანესთან" ერთად თავისი გუნდის უპირველესი ბომბარდირი გახდა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩილეს ნაკრებმა მეტად დამაჯერებლად გაიარა შესარჩევი მარათონი და დამსახურებულად მოიპოვა საფრანგეთის საგზური. თავად აკოსტა მთელი ამ ხნის განმავლობაში აკრიტიკებდა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს და საერთოდ, იმ ხალხს, ვისაც ჩილეს სპორტის კეთილდღეობაზე ზრუნვა ევალება. მწვრთნელის უკმაყოფილების საბაბი კი ის გახლდათ, რომ ჩილეს ნაკრების ასპარეზობით ყველა კმაყოფილი იყო და მისგან სხვას არაფერს ითხოვდნენ. არ ითხოვდნენო, ვამბობთ, მაგრამ პრობლემა გაცილებით სერიოზულია — დიდმოხელეები ჩილეს ეროვნული გუნდისთვის ფინანსებს არ იმეტებდნენ, უფრო მეტი ამხანაგური მატჩის გამართვის საშუალებას არ აძლევდნენ და ასე შემდეგ. ყოველივე ეს ერთად კი იძლევა იმას, რასაც მსოფლიოს ფეხბურთში ლიდერობა ჰქვია და რასაც ესოდენ კარგად ითავისებენ ბრაზილიის, არგენტინისა და სხვა ქვეყნების ნაკრებები. აი, სწორედ ეს უკლავდა გულს აკოსტას და ამის შესახებ წარამარა გაიძახოდა, მაგრამ მას არავინ უსმენდა.

— ჩილელი დიდმოხელენი ნაკრების გამოსვლით მეტად კმაყოფილი არიან. ისინი იმასაც კი აცხადებენ, რომ მზად არიან, კიდევ თექვსმეტი წელი იცადონ, სანამ ჩილე ხელმეორედ მოიპოვებს მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლებას. იცით, მე ვერ შევეგუები ასეთ ვითარებას. ნაკრებში, სადაც ყველანაირ პროგრესს ეჭვის თვალით უყურებენ და ამაზე ფიქრსაც კი მიკრძალავენ, ვფიქრობ, არც ღირს დარჩენა. მეც გადავწყვიტე, გუნდში 31 დეკემბრამდე ვიყო და შემდეგ ალბათ, სხვა გზას ვეწევი — ისე, ცოტა არ იყოს, ძნელია, ჩილელთა თავკაცს გაუგო. ნეტა მეტი რა უნდოდა აკოსტას. ბრაზილიელთა დამარცხება და მსოფლიოს ჩემპიონობაზე ფიქრი მისი ახალწამოჩიტული გუნდისთვის ცოტა ზედმეტი ხომ არ არის? თუმცა, რა ჩვენი საქმეა. ამ კაცს თავისი მიზნები და პრინციპები ჰქონდა და მათი განხორციელების საშუალება რომ არ მისცეს, განაწყენდა.



ნელსონ აკოსტა

აკოსტა აკოსტად, მაგრამ მკითხველს, ალბათ, ისიც აინტერესებს, თუ რა ხდებოდა ბრაზილიელებთან მატჩის დროს ჩილეში. მერვედფინალის მოლოდინში ქვეყნის დედაქალაქ სანტიაგოს ბარებს გულშემატკივართა ზღვა მიაწყდა. ფანებს კათხა ლუდთან ერთად საყვარელი გუნდის თამაშის ხილვა სურდათ. მათ გულებში იმედის პატარა ნაპერწკალიც კიაფობდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ქომაგებს მომღიმარი სახეები სულ უფრო ელუშებოდათ. მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ 1:4 განადგურებას ჩილელები მაინც ვერ ეგუებოდნენ. ეროვნული დროშის ფერებად სახეშეღებილი გულშემატკივრები დაღვრემილი მიუყვებოდნენ სანტიაგოს ქუჩებს, სადაც სამარისებურ სიჩუმეს დაესადგურებინა.

სხვა დროს მოჟრიამულე ხალხით გადაჭედილი „პლაცა იტალი", რომელიც ჩილელთათვის იგივეა, რაც ნიუ იორკისთვის „ტაიმს სქვერი", შაბათს უჩვეულოდ დაცარიელებული გახლდათ. ადგილობრივი პოლიციელებიც სულ ტყუილად იჩენდნენ ყურადღებას — დაღვრემილი გულშემატკივრები ისე წავიდწამოვიდნენ შინ, აურზაურის ატეხვა არც უცდიათ.

ქალაქის მერიამაც სულ ტყუილად დაიჭირა თადარიგი. არადა, გამარჯვების შემთხვევაში მართლაც ზღაპრული სანახაობა იყო მოსალოდნელი. ქუჩები ეროვნული დროშის წითელ, თეთრ და ლურჯ ფერებში გამოწყობილი მოზეიმე ფანებით აისებოდა, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად პოლიციელთა რაზმებიც სრულ მზადყოფნაში იყვნენ. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ჩილეს ზეიმი არ ეწერა. „ლა ფლორიდას" უბარში ხალხმა მაინც მოიყარა თავი და ნაკრების ფეხბურთელებისადმი თავისი მხარდაჭერა გამოხატა.

— ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ასეთი ძლიერი გუნდი გვყავს. მათ ხომ ჯგუფში მხოლოდ იტალია გაუშვეს წინ, ხოლო ბრაზილიის ნაკრებს ლამაზი გოლიც გაუტანეს — თქვა ერთ-ერთმა ქომაგმა.

ისე, უნდა აღინიშნოს, რომ ჩილეს ნაკრებმა წინა წლებთან შედარებით, მართლაც წარმატებით იასპარეზა. ეს გუნდი ხომ 1962 წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში არ გასულიყო. ოცდათექვსმეტი წლის წინ კი, როდესაც ეს ტურნირი ჩილეში ჩატარდა, სამხრეთამერიკელებმა კიდევ უფრო უკეთეს შედეგს მიაღწიეს და ნახევარფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვეს. თუმცა, ეს დიდი ხნის წინ იყო...

**ირაკლი ხმელიძე**



დაღვრემილან ჩილელი ქომაგები: მათი გუნდი ბრაზილიასთან განადგურდა

# ოლსენი ორ ცეცხლს შუა

შაბათს ნორვეგიის ნაკრების იმედები, მსოფლიოს ჩემპიონატზე რაიმე წარმატებისთვის მიეღწია, საბოლოოდ დასამარდა. არადა, გავიხსენოთ, საფრანგეთში ჩასვლამდე რა დიდი გულზე იყო მათი მთავარი მწვრთნელი ეგილ ოლსენი. ნორვეგიელთა ამბიციები განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც გუნდმა ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრაში ბრაზილიის ნაკრებს მოუგო და მერვედფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა. სკანდინაველთა თავკაცი კმაყოფილებას არ მალავდა და ჩემპიონატის დაწყებიდან მოყოლებული წამდაუწუმ იმეორებდა, ნორგვეიის ნაკრები მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია და თუ სათანადო განწყობა გვექნა, ნებისმიერი მეტოქის დამარცხება ძალგვიძსო. თუმცა შაბათს „სკუადრა აძურამ" ყველას დაანახა, სინამდვილეში რისი უნარიც შესწევს ნორვეგიას. იტალიელებმა, რომლებიც საკმაოდ ჩვეულებრივად ირჯებოდნენ და თავიანთი საუკეთესო მატჩის სულაც არ ჩაუტარებიათ, აუღელვებლად დაამარცხეს ეგილ ოლსენის ქვეშევრდომები.

ეტყობა, სკანდინაველთა ხელმძღვანელისთვის იმდენად მოულოდნელი იყო მარცხი, რომ იგი დაკავებული თანამდებობიდან გადადგომას აპირებს. მერვედფინალიდან გავარდნის მეორე დღეს, ჟურნალისტებისთვის გამართულ კონფერენციაზე გახდა ცნობილი, სადაც ოლსენმა განაცხადა, ნაკრებში მრავალწლიანი დაძაბული მუშაობით სრულიად გამოვიფიტე და დასვენება მჭირდებაო.

— საფრანგეთში ყოფნისას მივხვდი, რომ წლების მანძილზე მძიმე შრომამ დამღალა და გუნდის სრულყოფილი ხელმძღვანელობა აღარ ძალმიძს. ამიტომ ჩემთვის ასეთ ვითარებაში ყველაზე უკეთესი დასვენება იქნება და, ალბათ, ასეც მოვიქცევი. ექვსი თვით აღარსად ვიმუშავებ. აი, საშობაო არდადეგების შემდეგ კი სერიოზულად ვიფიქრებ, თუ როგორ მოვიქცე. ან ნაკრების ხელმძღვანელად დავრჩები, ანაც სხვა გუნდში გადავალ — ასეთი სიტყვებით დაიწყო 55 წლის მწვრთნელმა პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრა.

როდესაც მას ჰკითხეს, სამწვრთნელო კარიერას ბრიტანეთში, კერძოდ კი შოტლანდიურ „სელტიკში" ხომ არ გააგრძელებთო, ოლსენმა ასე უპასუხა:

— არა მგონია, ამ დროისთვის შოტლანდიელები ჩემით სერიოზულად იყვნენ დაინტერესებულნი. ასეც რომ იყოს, მათ სასწრაფოდ სჭირდებათ ახალი ხელმძღვანელი, რადგან გუნდი ყოფილმა მწვრთნელმა, ჰოლანდიელმა ვიმ იენსენმა დატოვა და „სელტიკიც" უთავკაცოდაა დარჩენილი. გლაზგოში ჩემი სავარაუდო გადასვლის შესახებ ოჯახის წევრებს ვესაუბრე და დავადგინეთ, რომ ჩემთვის უმჯობესი იქნება, თუ ნახევარი წლით არსად ვიმუშავებ. თუმცა თუ შოტლანდიელები სამუშაოს ექვსი თვის შემდეგ შემომთავაზებენ, სიამოვნებით დავთანხმდები.

როდესაც ოლსენი ნორვეგიის ნაკრების სათავეში მივიდა, ეს გუნდი ევროპაში ერთ-ერთ მაჩანჩალად ითვლებოდა და მას სერიოზულადაც არავინ მიიჩნევდა. თუმცა სულ ცოტა ხანში მწვრთნელმა საკმაოდ ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება შესძლო და 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სკანდინაველებს მთელი არსებობის მანძილზე უდიდეს საფეხბურთო ტურნირზე სულ სამჯერ უასპარეზიათ, აქედან ორჯერ — 1994 და 1998 წლებში ეს სწორედ ოლსენის წინამძღოლობით მოახერხეს. ეგილის აქტივში უდავოდ უნდა ჩაიწეროს ის ფაქტი, რომ მისი გუნდი 1997 წლის იანვრიდან აგრე უკვე ჩვიდმეტი თვის მანძილზე არ დამარცხებულა და ეს ტრიუმფალური სვლა მხოლოდ შაბათის მერვედფინალურ მატჩში 0:1 წაგებით შეწყვიტა. საერთოდ, ოლსენის ხელმძღვანელობით ნორვეგიელთა მიერ გამართული შეხვედრების სტატისტიკა ასე გამოიყურება: 43 გამარჯვება, 24 ფრე და 15 მარცხი.

ყველაფრის მიუხედავად, მწვრთნელი იტალიელებთან განცდილი მარცხით ერთობ უკმაყოფილო გახლდათ და ეს მისი გუნდის ცუდი თამაშით ახსნა.



ეგილ ოლსენი

— ძირითადად რამდენიმე მიზეზის გამო დამწყდა გული. გუნდმა ვერ აჩვენა ის თამაში, მას რომ შეეძლო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჩემმა ფეხბურთელებმა ზურგი აქციეს იმ სტილს, რომლის წყალობითაც ჯგუფური ტურნირის უკანასკნელ მატჩში ბრაზილიელები დავამარცხეთ. მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ თამაში იტალიელებს კი არ მოუგიათ, ჩვენ წავაგეთ. „სკუადრა აძურა" იმ დღეს ძალიან სუსტად გამოიყურებოდა და არა მგონია, რომელიმე სპეციალისტსა თუ რიგით გულშემატკივარზე დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა. საერთოდ მინდა ვთქვა, რომ საფრანგეთში ჩვენი მთავარი მიზანი მერვედფინალში მოხვედრა გახლდათ. თუმცა როდესაც დასახულ გეგმას ასრულებ, ყოველთვის გაცილებით მეტი გინდება. ჩვენც ასე დაგვემართა და რომ არა გუნდის უფერული თამაში, გულისწადილს ავისრულებდით — მეოთხედფინალის საგზურს დავიბევებდით. ახლა კი მხოლოდ იმ ფაქტის აღიარება გვიხდება, რომ დავმარცხდით და შინ ნაადრევად უნდა გავბრუნდეთ — ასე შეაფასა ოლსენმა ნაკრების თამაში.

**ირაკლი ხმელიძე**

**წელვანდელ** მსოფლიოს ჩემპიონატს ერთი უცნაური ტრადიცია დაებედა: იმ გუნდების მწვრთნელებს, რომლებმაც უფერულად იასპარეზეს და შინ ნაადრევად გაბრუნდნენ, უკვე ჩემპიონატის დღეებში დაატოვებინეს დაკავებული თანამდებობა. ასე დაემართათ ტუნისის, კორეისა და სხვა ნაკრებების თავკაცებს. ახლა კი როგორც ჩანს, იაპონელთა ხელმძღვანელი ტაკეში ოკადას ჯერიც დადგა.

# ოკადამ, მეც წავედიო

პარასკევს სახელდახელოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ოკადამ განაცხადა, რომ იაპონიის ფეხბურთის ფედერაციასთან ნაკრების მთავარი მწვრთნელობის თაობაზე დადებული კონტრაქტის ამოწურვისთანავე გადადგება და სხვა სამსახურს იშოვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამომავალი ქვეყნის ფეხბურთის დიდმოხელე პირთათვის მწვრთნელის განცხადება მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. მისი მუშაობის სტილი არც ადრე მოსწონდათ და ყოველნაირად ცდილობდნენ, 44 წლის ოკადასთვის სამუშაო პირობები გაერთულებინათ. ამის შემდეგ ადვილი მისახვედრია, თუ რა დიდ სიხარულს მოჰგვრიდა ჩინოვნიკებს ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში იაპონიის ნაკრების მარცხი. მართალია, იმ მომენტისთვის იაპონელებს შემდეგ ეტაპზე გასვლის ყოველგვარი იმედი გადაწურული ჰქონდათ და მათთვის უკანასკნელ შეხვედრას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ იამაიკის ნაკრებთან დამარცხება მათთვის მაინც უპატიელები გახლდათ. ჰოდა, მწვრთნელ ოკადას აგრძნობინეს, რომ მისი დრო წავიდა.

— ჩემი კონტრაქტი ივლისის ბოლოს იწურება და მეც იქამდე როგორმე მოვითმენ. მერე კი თანამდებობას დავტოვებ და სხვა გზას დავადგები — განაცხადა ოკადამ.



გიო ახვლედიანის




# წიგნით შეყვარებული ფეხბურთელები

ხომ ასეა?

ყოველ ქომაგს, თუ გულშემატკივარს, ფეხბურთის შლეგსა თუ შმაგს, თავისი საყვარელი და სასურველი მოთამაშენი ჰყავს. ასე ყოფილა, ასეა და ასე იქნება. მეც, თქვენი არ იყოს, მყავს ასეთები. ოღონდ, ამ განცდას, თუ გრძნობას ერთ თავისებურებას ვამჩნევ. არის ბევრი ფეხბურთელი, რომლის ნახვაც სავსებით გასაგებ მიზეზთა (მთავარი ასაკია) გამო ვერ მოგიხერხებია, მაგრამ ისინი მაინც გიყვარს და მოგწონს. და, რა თქმა უნდა, პირიქით — სასტიკად არ მოგწონს ისინი. აი, მაგალითად, მე არ მინახავს ნილტონ სანტოსი. უფრო სწორად, მინახავს 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორი ვიდეოფირი, ზედ რომ ბრაზილიის ნაკრებია აღბეჭდილი, მაგრამ ეს აგერ ახლა იყო. ნილტონ სანტოსისადმი სიმპატია კი ადრეული ბავშვობიდან მაქვს ჩვენს ბავშვობაში იყო ასეთი წიგნი. „პელე და ნილტონ სანტოსი“. ამ წიგნში ორი დოკუმენტური მოთხრობა იყო, „მე, პელე“ (თავად პელეს ნაამბობი) და თუ არ ვცდები, ჟასინტო დე ტორმესის „მოხუცი და ბურთი“, რომელიც ნილტონ სანტოსის შესახებ მოგვითხრობდა. მე ასე გავიცანი ნილტონ სანტოსი და ამ ფეხბურთელით აღფრთოვანება დღემდე გამომყვა. ამავე წიგნით გავიცანი (როგორც ათასობით სხვა ჩემმა ტოლმა) გარინჩა და სანამ მისას რაიმეს ვნახავდი ტელეეკრანზე, უკვე ვიცოდი — მეორე ასეთი კაცი არ ყოფილა. ანდა, სტენლი მეტიუზის წიგნი — „ოცდათხუთმეტი წელი მარცხენა ფრთაზე“. ამ წიგნიდან პირველად შევიტყვე, თუ რა არის ყველაზე კარგი ინგლისურ ფეხბურთში და მივხვდი, რომ სერ სტენლიც დიდებული კაცი და მოთამაშე იყო. ანდა, პატარა, თხელი წიგნაკი — „მოგვითხრობს ალფრედო დი სტეფანო“. ამ წიგნით შევიტყვე, რომ მსოფლიო ფეხბურთის მეფის ტიტულის გამო დავა შეიძლება.

უცნაურია, არა? ფეხბურთელები არ მენახა და უკვე მიყვარდა და მომწონდა. ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობდით, ინფორმაცია, გამორჩევით კი ვიზუალური — ჰირდა. თუმცა, რაღა ვიზუალური? ერთხელ გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ სულ ორწინადადებიანი შეკითხვა გავგზავნე. ბავშვი ვიყავი, არ მესმოდა. ჩემთვის რაღაცეებს ვიწერდი და ავტორიტეტულ გაზეთს დავეკითხე: „ხომ არ იცით, რომელი გუნდის მწვრთნელია ფერენც პუშკაში? ან თუ არ არის, თუ ყოფილა როდესმე მწვრთნელი?“ პასუხი მივიღე უაღრესად ცივი: „რედაქცია არ ფლობს თქვენთვის საინტერესო ინფორმაციას“. დავეჭვდი, ეგ როგორ გამოვიდოდა, რომ ამათ არ სცოდნოდათ-მეთქი. მერე ერთმა კეთილმა ძიაკაცმა მითხრა, შვილო, პუშკაშის ხსენება არ შეიძლება, მაგან სოციალისტური უნგრეთი მიატოვა და გენერალ ფრანკოს ესპანეთში გადაბარგდა, საბჭოთა კავშირი კი ფრანკოს მტერიაო. ამის შემდეგ ცოტა ხანმა გაიარა და რაღაც წიგნაკში წავიკითხე, [illegible] პუშკაშმა სამშობლოს უღალატა და ფულის გულისთვის ფაშისტებს მიეყიდაო. იქვე ისიც ეწერა, ვაჟრუკანა პუშკაშს სოსისის ფაბრიკა აქვს გახსნილი და პროლეტარიატს სისხლსა სწოვსო. შემდეგ ძიებმა მიამბეს, ინგლისისა და მსოფლიო ნაკრებების შეხვედრის ტელეტრანსლაციისას საბჭოთა კომენტატორი (მგონი ოზეროვი) პუშკაშის გვარს ვერ ახსენებდა და მას „სედმოი ნომერს“ ეძახდაო.

მე ძალიან მომეწონა პუშკაში. დღემდე მიყვარს ეს ფეხბურთელი.

თუ მიწოლაა, მიწოლა იყოს-მეთქი და ისევ ხსენებულ გაზეთს შევეხმიანე, მართალია, თუ არა, რომ პუშკაშს სოსისის ფაბრიკა აქვს-მეთქი. მათ ხუმრობა ვერ გაიგეს. პატივცემულო ამხანაგო, პუშკაშისა მართლა არაფერი ვიცით და მიმართეთ გაზეთ „ფუტბოლ-ჰოკეისო“.

„ფუტბოლ-ჰოკეის“ მაშინ მივმართე, როცა ომარ სივორის ამბავი მაინტერესებდა. საბედნიეროდ, ომარ სივორი არ იყო სოციალისტური სამშობლოს მოღალატე.

მაგრამ, მგონია, რომ გავერთე. საყვარელ ფეხბურთელებზე არ ვლაპარაკობდი?

საინტერესო კი ის არის, რომ იმ დროის შემდეგ აზრი არ შემიცვლია. პუშკარს უშველებელი „ჩემი ცხოვრებაც“ გადავფურცლე, რაღაც კასეტებიც მოვიპოვე და აღმოვაჩინე, რომ ბავშვობისდროინდელი წიგნები არ ტყუოდნენ. ეს ფეხბურთელები დღესაც ჩემი საყვარელი ფეხბურთელები არიან. კლიპების და ვიდეოს დრო რომ მოვიდა, ასევე შემიყვარდნენ ჯორჯ ბესტი, ტოსტაო და პირ კაიზერი. მაგრამ ეს ეკრანზე ნანახი რომ იყო, თანაც ის ხალხი, რომელთა კარიერაც ჩემს საბავშვო ბაღში სიარულს დაემთხვა და რომ არ დამთხვეოდა, განა საბჭოთა გულშემატკივარს ოთხ-ოთხ წელიწადს არ უწევდა ცდა? მისი ფეხბურთი ხომ მსოფლიო ჩემპიონატებით შემოისაზღვრებოდა და ისიც საკმაოდ შეზღუდულად. 1974 წელს ჰოლანდიის ნაკრები ისე მივიდა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში, რომ ცენტრალურმა ტელევიზიამ მისი ერთი თამაში ვერ გამოიმეტა.

აი, ასეთი დრო-ჟამი იდგა.

ანდა, არ გახსოვთ, 1982 წელი, როცა ჩილეს ნაკრების მონაწილეობით არც ერთი თამაში არ უჩვენეს? (აღარაფერს ვამბობ 1974 წელს ჩილელთა გამოსვლაზე. ამ



ახლა ყველაფერს იშოვი კაცი. ასეთ ფოტოსაც: დოქტორი ედუარდო გონკალვეს დე ანდრადე, წარსულის დიადი მოთამაშე ტოსტაო დღეს

გუნდმა ხომ სწორედ საბჭოელებთან პლეიოფში მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური) ვითომ, ჩილელთა გუნდში პინოჩეტი და მისი ოფიცრები თამაშობდნენ.

ცოდვა გამხელილი ჯობს. ინგლისური ფეხბურთით დავინტერესდი ერთადერთი ფოტოს გამო. ამ ფოტოს ქვემოთ ეწერა: „ასეთი გოლები გაჰქონდა ტომი ტეილორს“. თუ არ ვცდები, ფოტო დაბეჭდილი იყო შოთა იამანიძის წიგნაკში, რომელიც თბილისის „დინამოს“ ინგლისური ტურნეს აღწერდა. იქ ძალიან საინტერესოდ იყო მოთხრობილი ჩვენების თავგადასავალის შესახებ ალბიონზე. იმის მერე მომწონს და მიყვარს ინგლისური ფეხბურთი.

ახლა კი, როცა ეს ყველაფერი სასაცილოდ ჩანს და მთელი სეზონის განმავლობაში ყოველ საღამოს საერთაშორისო ფეხბურთია ტელევიზორში, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ფეხბურთელთა ფოტოები და პლაკატები იყიდება. შეგიძლია ჟურნალების გამოწერაც, მაგრამ წიგნები, საფეხბურთო წიგნები, რომლებიც ბიჭს სულ სხვაგვარად აყვარებენ ამ საოცარ თამაშს და მის გმირებს, აღარ ჩანს. არის კომპიუტერული თამაშები. რა იმათთვის გიყურებია, რა ფეხბურთისთვის. მწვრთნელიც შენა ხარ, ტაქტიკასაც განსაზღვრავ და ყველაფერი. ტრიბუნებიც გუგუნებს, კომენტატორიც ყვირის. წიგნები კი აღარ არის. ვითომ პერესტროიკის დროს გამოჩნდა რაღაცეები და კიდევ ერთადერთი „მარადონას ცრემლები“ და ეგაა. არ არის წიგნები. უყურებ კვირაში შვიდ-რვა ფეხბურთს და ყელში ამოგდის. ბუნდესლიგაო, პრემიერლიგაო, სერიაო, ჩემპიონთა ლიგაო, თასებიო. და, რა თქმა უნდა, დღევანდელ პატარა ბიჭებს ჰგონიათ, რომ რონალდო ყველაზე მაგარია, რომ ბატისტუტასთანა არავინ დაბადებულა და რომ ბექჰემი ძალიან მაგარია და თანაც ვიქტორიას საქმროა. მათ არ იციან, რომ არსებობდა გერსონი, ონეგა, კარლოს ბაბინგტონი, ჯიმი გრივსი... გაუგიათ კრუიფი, პელე, პლატინი, კემპესი, ცოტათი მეტად მარადონა, ცოტათი ნაკლებად ბერტონი, კიგანი და რენსენბრინკი. ტელევიზორში წარამარა ხედავენ თმაშეთხელებულ და ჰაღარა კაიზერ ფრანცს და არ იციან, რას იქმოდა.

სამაგიეროდ იციან, რომ ინძაგი ლამაზია, ხოლო რა იყო გუშინ? როგორ და რატომ უყვარდებოდა. მათ თანატოლებს ფეხბურთი მეოთხედი საუკუნის წინათ, არ იციან.

მათ ფეხბურთი ალალად და ბრმად უყვართ, ისე როგორც შეიძლება უყვარდეთ ნაყინი, რომელიც ერთხელ გასინჯეს და მიეჩვივნენ. მაგრამ ფეხბურთი ხომ ნაყინი არ არის?

საფეხბურთო გემოვნება ხომ დღეს არ შექმნილა. გემო ფეხბურთისა ძალიან ძველია და პირადად ჩემთვის არანაკლებ შეიგრძნობა იმ ძველი, გაცვეთილი წიგნებიდან, ვიდრე სტადიონის ტრიბუნებიდან. ირველი თამაში, რომელიც სტადიონზე ვნახე, იყო მატჩი თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის. იმ თამაშისა არ მახსოვს არაფერი. მახსოვს, რომ შედგა „ლოკომოტივის“ სტადიონზე, და რომ თამაშობდა გივი ნოდია. ანგარიშიც კი არ მახსოვს და არც კი მოვიძიე ცნობარში. ყველაზე დიდი რამ, რაც ამ თამაშიდან დამამახსოვრდა, იყო ჯადოსნური ფორმა მოედნისა, მწვანე ბალახი, თეთრი კარები და ლამაზი სამოსი, ფეხბურთელებს რომ ეცვათ. მეორე, რაც მახსოვს ფეხბურთიდან, ისაა, რომ კახი ასათიანმა „ტოტენჰემს“ გოლი გაუტანა და მახსოვს, რომ ველოდი განმეორებით მატჩს. ეს უკვე სიყვარულს ნიშნავდა. თუმცა, გამოვტყდები და, დამეძინა. დილით ანგარიში ვიკითხე, სრულიად ტრაგიკული გამოდგა. სულ ვფიქრობ, როგორ უყვარდებათ ბიჭებს ფეხბურთი? ვერ ვხვდები, ჩემთვის არავის უთქვამს, დაჯექი და უყურეო. ამ თამაშს რაღაც უცნაური ჯადო აქვს. მას არ ჰყოფნის მხოლოდ სიყვარული, მას გემოვნებაც სჭირდება და გასულ კვირაში, ოთხ დღეში თექვსმეტი თამაშის მაყურებელი, სულ ვფიქრობდი, ვის შეიყვარებენ და მოიწონებენ ხვალინდელი გულშემატკივრები? მე ისევ ისინი მიყვარს და მომწონს, ვის შესახებაც ბავშვობაში ვკითხულობდი და ახლა, ამ წერილის ბოლოს, აღარც კი ვიცი, ეგებ იმ წიგნებში არცთუ დიდი სიმართლე იყო? ეგებ პუშკაში და ნილტონ სანტოსი სულაც არ იყვნენ ლეგენდარული ხალხი? თუმცა, ეგებ ის სიცრუე ჯობდეს. სწორედ მისი დახმარებით შემიყვარდა ფეხბურთი და მგონია, რომ კარგადაც გამოვიდა. მგონია, რომ სწორედ მიყვარს.

ჩემს შვილს კი აქვს დენის ბერჰკამპის უშველებელი პლაკატი, მაგრამ მის შესახებ რომ ვუყვები, არ მისმენს, ამბობს, ჰოლანდიას ლამაზი „მაიკები“ აცვიაო. თანაც, კვირაში ორჯერ მაინც უყურებს ამ ბერჰკამპს მთელი წლის განმავლობაში და როგორ გინდა, რომ ლეგენდებსა და ოცნებებზე ელაპარაკო?

მერე მეტყვის:

— ხო ჩამომიტან „აიაქსის“ ნაღდ მაიკას? ნომრიანს?

მე ვპასუხობ, რომ ჩამოვუტან, ოღონდ ისეთს, ზედ რომ I14 ეწერება. ეს ჩემთვის დიდ რამეს ნიშნავს. ის მხრებს იჩეჩავს და ისევ მეკითხება:

— ვისი ნომერია?

— კრუიფის.

— არ მინდა. ჩვენების ჩამომიტანე.

სწორია, რას ერჩი. წავიდა გაზეთებიდან ამოჭრილი სტატიების დრო. ფეხბურთის სიყვარულს წვალება აღარ სჭირდება.


სარბიელი

სპორტული ლატარია “CROCO”

FRANCE 98

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.

ფსონების მიმღები „კროკოს“ ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი

მერვედფინალები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 29 ივნისი | | | | |
| პოლანდია — იუგოსლავია | (1,55-1,9) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| გერმანია — მექსიკა | (1,05-7,5) | 1,15 | 5,3 | 12,0 |
| 30 ივნისი | | | | |
| არგენტინა — ინგლისი | (1,7-1,7) | 2,3 | 2,9 | 2,7 |
| რუმინეთი — ხორვატია | (1,7-1,7) | 2,5 | 2,9 | 2,5 |

პირველი ტაიმი/საბოლოო შედეგის გამოცნობაზე და სხვა კოეფიციენტებს ფსონების შეტანის ადგილზე გაეცნობით

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი;

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი;

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთავში — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# შუბი

## კავშირი სიდკას და შუბითიძეს შორის?

ქართველ ფეხბურთელებს რომ უცხოეთში თამაშზე უჭირავთ თვალი, ახალი ამბავი არ არის. ჩვენი პირობებიდან გამომდინარე, ეს ბუნებრივიცაა. თითქმის შეუძლებელია ქართველ ლეგიონერთა ზუსტი რაოდენობის დადგენა, რადგან ჩვენებურები ძლიერი საფეხბურთო კლუბების გარდა საზღვარგარეთის სუსტ გუნდებსა და დაბალ ლიგებშიც ასპარეზობენ.

ხვიჩა შუბითიძე თავის დროზე საკმაოდ იმედისმომცემ ფეხბურთელად ითვლებოდა. იგი წარმატებით გამოდიოდა თბილისის „იმედის", „თეთრი არწივის", „შევარდენის" რიგებში, იყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი და ერთ-ერთი სულისჩამდგმელი გახლდათ იმ პირველი გამარჯვებისა, როცა ოლიმპიელებმა შესარჩევ ტურნირში მოლდოველი თანატოლები დაამარცხეს 3:0.

ახლა ხვიჩა გერმანიის რეგიონალლიგაში (ჩვენებურად მესამე ლიგა) თამაშობს და ქალაქ შტენდალის საფეხბურთო კლუბის წამყვან მოთამაშედ ითვლება.

**— ხვიჩა, თითქმის სამი წელია, თქვენზე საქართველოში არაფერი სმენიათ. როგორ მოხვდით გერმანიაში?**

— გერმანიაში მეგობრების დახმარებით ჩავედი. თავდაპირველად რეგიონალლიგის „რატენაუში" ჩავირიცხე. ძალიან სუსტი გუნდი იყო და იმავე წელს (1995-1996 წ. სეზონი) დაქვეითდა მეოთხე ლიგაში. ამის შემდეგ ორწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი. ქალაქ შტენდალის „ლოკ ალტმარკთან". ჩვეულებრივი გუნდია. თავის დროზე წარმატებით გამოდიოდა ყოფილი გდრ-ის ჩემპიონატში. წლევანდელ სეზონში მეცხრე ადგილზე გავედით. ათი გატანილი გოლით კლუბის ერთ-ერთი ბომბარდირი გავხდი.

**— თქვენს გარდა თუ არიან კლუბში ლეგიონერები.**

— შარშან ორი აფრიკელი მოთამაშე გვყავდა. ერთი ბენინიდან იყო, მეორე კონგოს ნაკრების კაპიტანი. საკმაოდ კარგი ფეხბურთელები იყვნენ. ამ კლუბში თამაშობდა ბადრი დანელიაც. მის გვერდით ბურთაობა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა, დიდ სტიმულს მაძლევდა. წელს ორი ლეგიონერი ვიყავით. უნგრელი მოთამაშე საკმაოდ ასაკოვანი იყო და კლუბი დატოვა, მაგრამ მარტო ყოფნა დიდხანს არ მომიწევს. ახალი სეზონიდან ჩემს გვერდით ყოფილი მალაროელი ზაზა დადუნაშვილი ითამაშებს. მან რამდენიმე დღის წინ გააფორმა კონტრაქტი „ლოკ ალტმარკთან".

**— რეგიონალლიგა ძირითადად მოყვარულთა ლიგად ითვლება. ბუნებრივია, უფრო მაღალ დონეზე თამაშის სურვილი გექნებათ. პროფესიონალური კლუბებისგან კონკრეტული წინადადებები თუ გქონიათ?**

— მეორე ბუნდესლიგის „ფიურტი" მიწვევდა და, რა თქმა უნდა, სურდა, საქმეში ვეხილე, ჩემი კლუბის ხელმძღვანელებმა კი, როგორც კი ეს გაიგეს, ეშმაკური ხერხი იხმარეს. ხუთ შეხვედრაში არ მათამაშეს, სათადარიგოთა სკამზე დამსვეს და მალე „ფიურტმაც" ხელი აღიო ჩემს გადაბირებაზე. 13 მაისს, ქართველთათვის გამორჩეულ დღეს, ბრემენის „ვერდერს" ვეთამაშეთ ამხანაგურად. თავი არ დამიზოგავს, ანგარიში გავხსენი, მერე საგოლე პასიც გავაკეთე. ის თამაში 2:2 დამთავრდა და გერმანიაში უმაღლესი შეფასება —1-იანი დავიმსახურე. ვერდერის მწვრთნელი ვოლფგანგ სიდკა დაინტერესებულა ჩემით, თუმცა კონკრეტულად ჯერ არაფერია გადაწყვეტილი.

**— რა განსხვავებაა საქართველოსა და რეგიონალლიგის ჩემპიონატებს შორის.**

— განსხვავება მართლაც დიდია. უკეთეს ფინანსურ პირობებსა და ფეხბურთელთა ფიზიკურ მომზადებაზე არაფერს ვამბობ. ჩემი კლუბის მაგალითიდან გეტყვით — წელს ჩატარებული მატჩების 75 პროცენტზე მეტის ბედი ბოლო წუთებზე გაირკვა. ყოფილა შემთხვევა, ოთხმოცდამეათე, ანაც მსაჯის მიერ დამატებულ დროში გაგვიტანია. ჩემს დროს საქართველოს ჩემპიონატში მეოთხმოცე წუთისთვის ფაქტობრივად თამაში დამთავრებული იყო. ამით იმის თქმა მინდა, რომ იქ, გერმანიაში, მიუხედავად იმისა, რომ მესამე ლიგაა, თანაც ძირითადად სამოყვარულო, ბოლომდე ბრძოლაა, რაც გარკვეულ ინტრიგას ბადებს.

Lok Altmark Stendal gefiel gegen Werder Bremen/2:2 mehr als verdient

**Liaison zwischen Sidka und Shubitidse?**

Von Volker Langner

Probetraining einladen wolle, nicht aus dem Konzept. Schei

BILD



შუბითიძემ „ვერდერის" მეკარე იაშობს ცეკვით გაუტანა — წერს „ბილდი"

**— სამომავლოდ რას აპირებთ? რამდენად რეალურია „ვერდერის" ვარიანტი? გეცოდინებათ ეს გუნდი ჩვენებური „ტორპედოს" პოტენციური მეტოქეა ინტერტოტოს გათამაშებაში.**

— ვიცი. „ვერდერი" ძლიერი გუნდია. იქ მოხვედრა ჩემთვის დიდი პატივია. ყველაფერი ჩემს მენეჯერზეა დამოკიდებული. თუმცა, ვიმეორებ, გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. ადვილი შესაძლებელია, ისევ შტენდალში დავრჩე, მით უმეტეს ორწლიან კონტრაქტზე მოწერილი მაქვს ხელი.

**— ორი წელი ბევრი ხომ არ არის?**

— საქმე იმაშია, რომ 2000 წლიდან გერმანიაში კეთდება მესამე პროფესიონალური ბუნდესლიგა. დღევანდელი რეგიონალლიგა 4 ზონად არის დაყოფილი, მასში 72 გუნდია გაერთიანებული. იდეაშია 2 ზონის და შესაბამისად 36 გუნდის დატოვება. სწორედ ამ გუნდების ბაზაზე შეიქმნება მესამე ბუნდესლიგა და, ბუნებრივია, „შტენდალსაც" დიდი პრეტენზიები გააჩნია იქ მოხვედრაზე. ამიტომ კლუბის ხელმძღვანელობამ აქედანვე დაიჭირა თადარიგი და წლევანდელი სეზონის გასრულების შემდეგ მინიმუმ ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა წამყვან მოთამაშეებს.

**— მოკლედ, ბედს არ უნდა უჩიოდეთ...**

— გასულ სეზონში ათი ბურთი გავიტანე, ორჯერ მეტი საგოლე გადაცემაც გავაკეთე. ამას გერმანიაში დიდ ყურადღებას აქცევენ. მწვრთნელი, ულრიხ შულცი, ძალიან მემადლიერება. სხვათა შორის, იგი უეფას თასის მფლობელია „მაგდებურგის" შემადგენლობაში. გულშემატკივართა შორისაც საკმაოდ პოპულარული ვარ. თუმცა, ისე არ გამიგოთ, რომ ვკმაყოფილდები ჩემი მდგომარეობით. გერმანიაში ოციდან ოცდაოთხამდე წლის მოთამაშეს ახალბედად თვლიან და მიაჩნიათ, რომ სასურველ კონდიციებს ფეხბურთელი 26-29 წლის ასაკში აღწევს, ამით ვიიმედებ თავს და ვფიქრობ, რომ ჩემს სათქმელს მალე ვიტყვი. მე ხომ ქართველი ვარ, თანაც მაქსიმალისტი.

**პაატა ძვანტალიანი**

---

ეროვნული ნაკრები შეძლებს ვლადიმერ გუცაევი ახალგაზრდულ ნაკრებში მიღწეული შედეგის განმეორებას?

# ეშმაკი, ვერაგი, იღბლიანი

ვლადიმერ გუცაევი გამორჩეული ქართველი ფეხბურთელი იყო. ტექნიკა, სისწრაფე, ალღო — ყველაფერი იშვიათი და შესაშური ჰქონდა. მაგრამ უპირველესი, რაც მას მოედანზე სხვებისგან განასხვავებდა, საფეხბურთო ენით არ გამოითქმის, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი ტერმინი არ არსებობს. ისე კი, მისი დახასიათება ორი სიტყვით შეიძლება — ეშმაკი ფეხბურთელი. ეს არ არის უხერხული გამონათქვამი. ასე შეუფასებიათ გარინჩა, მესხი, ბარქაია, ორიალი, სხვებიც. ეშმაკი ანუ მოუხელთებელი, ვერაგი მოთამაშე, ფეხბურთელი, რომელიც ატყუებს მცველს პოზიციურად, ტექნიკურად, ტაქტიკურად და ისე ეთამაშება მეტოქეს, როგორც კატა თაგვს.

გუცაევი — ფეხბურთელის ღირსებების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. გარდასული წლების გახსენებამ კი ნოსტალგიის მოძალება იცის, მით უფრო, ფეხბურთზეა საუბარი, ქართულ ფეხბურთზე. გუცაევი — ფეხბურთელი დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა, მე უფრო გუცაევი — მწვრთნელი მაინტერესებს: გუცაევი — საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცი.

მისი სამწვრთნელო კარიერა არც ბევრ წელს ითვლის და არც ჯილდოებს. „ანორთოსისში", „ალანიაში", საქართველოს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებში სულ ათიოდე წელს თუ გაატარებდა ერთად. „ანორთოსისი" და „ალანია" გუცაევის მოღვაწეობის წლებში გვაინტერესებდა, იმდენად, რამდენადაც იქ ქართული საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლები ირჯებოდნენ. ჩვენთვის უფრო საინტერესო, რაღა თქმა უნდა, ჯერ ახალგაზრდული, შემდეგ კი ეროვნული გუნდის თავკაცი ვოვა გუცაევია.

პირველი ნაკრების სათავეში გუცაევი მხოლოდ ფეხბურთელობის დროინდელი დამსახურების გამო არ მოსულა. ამ მხრივ იგი მკვეთრად განსხვავდება ალექსანდრე ჩივაძისგან, რომელიც სრულიად გამოუცდელი დაინიშნა ეროვნული ნაკრების თავკაცად. ეს, მე ვიტყოდი, პირწმინდად ქართული კაზუსი. ჩივაძის, როგორც ფეხბურთელის ავტორიტეტმა განაპირობა. გუცაევმა კი ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებში დაამტკიცა, რომ მწვრთნელობაზე სალი ამბიცია გააჩნია და მხოლოდ მერე მოევლინა ეროვნულ გუნდს მთავარ მწვრთნელად.

ახალგაზრდულ ნაკრებში კი, რომელიც ერთგვარ ტრამპლინად ექცა გუცაევ-მწვრთნელს, ყველაფერი მეტად ცუდად დაიწყო. მატჩი იტალიის ნაკრებთან ჩავარდა. მეტიც, ჩვენებმა სრული და სამარცხვინო ფიასკო განიცადეს. მაშინ არც პირველ ნაკრებს უმაგრებდა ზურგს რვამატჩიანი წაუგებელი სერიები და ეროვნულ გუნდზე გადართულმა გულშემატკივარმაც მაინცდამაინც არ გამოიდო თავი. ალაგ-ალაგ კი გაისმა, მწვრთნელობა ყველის და პურის ჭამა არავის ეგონოსო. მერე კი იყო თამაშიდან თამაშამდე გაუმჯობესებული, ნიჭიერ მოთამაშეთა ანსამბლი, რომელსაც აშკარად დაეტყო ახალი თავკაცის ხელი. აკი ახალგაზრდებმა იგივე 6:0-ზე მომგებ იტალიელებს თბილისში 2:0 მარცხი აგემეს, თანაც ნებისმიერ კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე. გუცაევის ბიჭების მეორე ადგილმა თითქოს დაგვიამა ყიფიან-ჩივაძისეული ნაკრების წარუმატებელი გამოსვლით გამოწვეული გულისტკივილი. ვლადიმერ გუცაევს ნიჭიერი, გონიერი, გამმარჯვებელი მწვრთნელის სახელი დაუვარდა. ასეთი ავტორიტეტის მქონე პიროვნებას კი აღარაფერს აპატიებენ, მით უმეტეს, საქართველოში. უკვე აღარავის ახსოვს, არც არაფერს ნიშნავს მისი წარსული დამსახურება, ისევე, როგორც ვერაფერი შეცვალა მათთვის უმძიმეს მომენტში ჩივაძისა და ყიფიანის ფეხბურთელობის დროინდელმა სახელმა — საფეხბურთო საქართველო მხოლოდ აწმყოთი ცხოვრობს და წარსულზე ან მომავალზე ფიქრით თავს არ იწუხებს.

ამიტომაც სიფრთხილე მართებს ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრების ახალ მწვრთნელს. თუმცა, ჩვენი გაფრთხილება რა ბედენაა, მან ხომ ისედაც უწყის ყოველივე ეს. გუცაევის ყოველი ნაბიჯი ადასტურებს ამას.

დავიწყოთ ჩვენი ვარაუდებით და შემდეგ ის მაგალითებიც დავასახელოთ, რომლებიც გუცაევი-მწვრთნელის წინდახედულობასა და გამჭრიახობაზე მიუთითებს. ჩვენი ვარაუდით კი ვლადიმერ გუცაევი პოლონეთან თამაშის წინ ნაკრებში არ მივიდოდა. იგი შანსდაკარგულ გუნდს სათავეში არ ჩაუდგებოდა, ვინაიდან უბრალო ქომაგისთვისაც კი ცხადი იყო, ჯგუფიდან გაუსვლელობა არა მარტო ჩივაძეს, მის მემკვიდრესაც დაბრალდებოდა. ასეც მოხდა — ყიფიანმა თუმცა კი რიხიანად ჩაამთავრა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების ციკლი, ნაკრებიდან მაინც დაითხოვეს. არ არის ვოვა გუცაევი ის კაცი, ვინც თავის რეპუტაციას სასწორზე შეაგდებს. ამ ვარაუდის სისწორეს დროც დაამტკიცებს. ოქროს მთებს რომ შეჰპირდებოდნენ, მაშინ „ქართველ რაკეტას", იგი პოლონური მატჩის წინ ნაკრებში არ მივიდოდა. არ მივიდოდა და მორჩა. არ მივიდოდა იმიტომ, რომ წინდახედულია.

გუცაევის გამჭრიახობაზე ესეც მეტყველებს — მან ორიოდე წინადადებით გაალღო ის ყინული, რომელიც სპორტულ მას მედიას ქართულ საფეხბურთო ელიტასთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდა. — „სიამოვნებით ვისაუბრებ ხოლმე თქვენთან, ოღონდ წინასწარ დავთქვათ შეხვედრის დრო". ამ სიტყვებით გუცაევმა-მწვრთნელმა პირველი ქულები მიითვალა აქტივში. ჟურნალისტები მიხვდნენ, რომ „ცივი ომი" დასრულდა და კეთილგანწყობილი პრესა სულ მცირე დაწყნარებული ნერვები რომაა, აღარავის ესწავლება ჩვენში.

მეორე სწორი ნაბიჯი ეროვნულ ნაკრებში ჯანსაღი კონკურენციის შექმნა იყო. „გუნდში დაჯავშნული ადგილები არ არსებობს, ითამაშებს ის, ვინც ამ მომენტში სხვაზე ძლიერი იქნება". უნდა ვაღიაროთ, ეს გაცვეთილი, მოძველებული გამონათქვამია, ოღონდ არა საქართველოში — არსად ისე არ სცემენ პატივს ავტორიტეტებს, როგორც ჩვენში. მწვრთნელმა კი საქმით დაამტკიცა, ტყუილუბრალოდ ლაპარაკი რომ არ სჩვევია — მან ფართოდ გაუღო კარი არა მხოლოდ ლეგიონერებს, ქვეყნის შიგნით მოთამაშე ფეხბურთელებსაც. იმატა კონკურენციამ, მოიმატებს დონეც. ეს ფეხბურთის აქსიომაა, ათასჯერ დამოწმებული კანონი.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ გუცაევ — ზაზა ჯანაშიას დამოკიდებულებასაც. „ლოკომოტივის" ლიდერის რთული ხასიათი ყველასთვის ცნობილია. ამიტომაც არავინ ელოდა, რომ გუცაევი მას კვლავ მოიწვევდა ნაკრებში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჯანაშიამ ორი თუ სამი გამოძახება არად ჩააგდო. გუცაევი ახლანდელი თაობის ნებისმიერ ფეხბურთელზე ძლიერი მოთამაშე იყო — ნიჭიერიც გახლდათ, მეტი გაქანებაც ჰქონდა და ასეც რომ არ ყოფილიყო, არც ერთ მათგანს, მათ შორის, ზაზა ჯანაშიასაც უფლება არა აქვს, მწვრთნელის ნერვებზე ითამაშოს. ვოვა გუცაევმა მოახერხა და უსიამოვნება კონფლიქტში არ გადაზარდა. მან მანამ „აწვალა" „რუსეთის ლიგის საუკეთესო თავდამსხმელი", სანამ თავისთვის სასურველ დონეზე არ აიყვანა და მერეღა შეუშვა მინდორზე. რუსეთთან მაღალ დონეზე ჩატარებული მატჩი მარტო ჯანაშიას კი არა, გუცაევის გამარჯვებაც იყო. კარგი ფსიქოლოგი თუ არ ხარ, მწვრთნელიც ვერ იქნები. „ჯანაშიას საქმე" გუცაევ-ფსიქოლოგის ზეობაა.

მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიამ არაერთი გონიერი მწვრთნელი იცის, რომელთაც უსახურად დაუმთავრებიათ კარიერა. მათ გააჩნდათ საფეხბურთო ინტელექტი, ალღო, უნარი, მაგრამ არ უმართლებდათ, ხშირად მათი დაწყებული საქმის ნაყოფს სხვები, არაპროფესიონალები იმკიდნენ. მათ არ უმართლებდათ, უბრალოდ, იღბალი არ გააჩნდათ. რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ფეხბურთში ამას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და უნდა გვიხაროდეს, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს იღბლიანი მწვრთნელი ჰყავს.

იღბლიანი კი იმიტომაა გუცაევი, რომ ნიჭიერი თაობის გაწვრთნა უწევს. ახალგაზრდული ნაკრებიდან მოყოლებული დღემდე ქართულ ფეხბურთში არაერთი ნიჭიერი მოთამაშე ირჯება, რომლებთან მუშაობამაც, წესით, შედეგი უნდა გამოიღოს. ქეცბაია, ქინქლაძე, არველაძეები, კობიაშვილი, ჯანაშია, აშვეთია, გახოკიძე, ჯამარაული, ფოცხვერია... მაპატიონ სხვებმა, ყველას ვერ ჩამოთვლი, ნამდვილად არ არიან ხელწამოსაკრავი ბიჭები. ფორტუნის წყალობაა ისიც, რომ თითქმის ყველმ მათგანმა ფიზიკურ-გონებრივ სრულყოფას მიაღწია, ევროპულ გრანდებში თამაშმა ამბიციებიც საკმარისი დაუგროვათ და ყველაფერმა ამან შეუძლებელია, ნაყოფი არ მოგვცეს. საქართველოს ნაკრებმა სულ მცირე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების ციკლი უნდა დაძლიოს, მით უმეტეს, სასურველ ჯგუფში მოვხვდით. თუკი დღეს ევროპაში საშუალო და უფრო დაბალი დონის გუნდები არსებობენ, რამდენიმე მათი წარმომადგენელი ჩვენ უნდა შეგვერკინოს. ესეც გამართლებაა და დიდი გამართლებაც. ესეც გუცაევის იღბალია და დიდი იღბალიც.

აფრიკულ გუნდებს რომ კარგა ხანია მჩხიბავები მეგზურობენ, არ ახალია. ახლა ისიც გაირკვა, რომ არც ევროპელები (თუნდაც ვენეიბლზის, ჰოდლის, ტრუსიეს მაგალითი მოვიყვანოთ) არიან მწყრალად არამიწიერ ძალებთან. ადამიანი ყველგან და ყოველთვის ადამიანია, მათ შორის, საქართველოშიც და როცა გუცაევის აღმავალ სამწვრთნელო კარიერას მიადევნებ თვალს კაცი, არ შეიძლება ფატალურ გამართლებათა ჯაჭვი არ შენიშნო. შედეგებსა და შეგირდებზე უკვე ვისაუბრეთ, ახლა ის ხალხიც ვახსენოთ, ვისთან მუშაობაც უწევდა ბატონ ვოვას — ანგელ იორდანესკუ, ვალერი გაზაევი — რაც გინდა თქვი, ორივე ჭკვიანი და დაფასებული მწვრთნელია. დრო კიდევ გვიჩვენებს, რა წყალი გადაესხა მათგან ვლადიმერ გუცაევს.

„ქართველმა ფეხბურთელებმა, ამ თაობამ, უნდა გაითვითცნობიერონ, რომ არავისზე ნაკლებნი არ არიან, უნდა იცოდნენ ისიც, რომ არც მწვრთნელი ჰყავთ სხვაზე ურიგო. როცა ამას შეიგნებენ, გამარჯვებაც არ იქნება მიუწვდომელი" — ესეც გუცაევი-მწვრთნელის სიტყვებია. გამარჯვებას ამ ეტაპზე ჯგუფიდან გასვლას ვეძახით. შესარჩევი ციკლი კარსაა მომდგარი და ყველაფერი იქ გაირკვევა.

.ქება ქებად, მაგრამ თუ კაცი ამას იმსახურებს, უნდა შეაქო კიდეც. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ საძაგელებსაც თავისი მიეგება, თუკი ეს მოგვცელის. ჯერჯერობით კი გუცაევის თავკაცობით ნაკრები არ დამარცხებულა. იმედი ღვივის, ვინ იცის, იქნებ მართლაც არ არის გამარჯვება ძველებურად მიუწვდომელი.

გამარჯვებას კი ამ ეტაპზე ჯგუფიდან გასვლას ვეძახით.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

**ფორმულა 1**
VIII ეტაპი
საფრანგეთის
დიდი პრიზი



**მიხაელ შუმახერი**

დაიბადა 1969 წლის 3 იანვარს, კერპენში (გერმანია)
სიმაღლე 174 სმ; წონა 71 კგ
ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი
დებიუტი ფირმულა 1-ში: 1991, ბელგიის დიდი პრიზი, „ჯორდანი"
110 რბოლა, 30 გამარჯვება, 17 პოული, 27 სწრაფი წრე, 484 ქულა
1994 და 1995 წლების მსოფლიოს ჩემპიონი. „ბენეტონი"

შუმი თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო პილოტია, რაც არაერთხელ დაამტკიცა უძლიერეს მეტოქეებთან — აირტონ სენას და ალენ პროსტთან ორთაბრძოლებში. წლეულსაც იგი ჯერჯერობით ერთადერთია, ვინაც წინააღმდეგობას უწევს „მაკლარენის" წყვილს და ამარცხებს კიდეც.

მიუხედავად ამისა, ბევრი კოლეგა და სპეციალისტი აკრიტიკებს მას საზიფათო რბოლისთვის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შარშან ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ვილნევის ჩამოშორება ძალისმიერი ილეთით სცადა. მიხაელმა წლეულსაც „გამოიჩინა თავი" — არგენტინაში კულჰარდი გაგზავნა ხრეშში „საიერნოდ", ხოლო კანადაში ფრენცენი აიძულა, ტრასიდან გადასულიყო. შუმი ფორმულა 1-ის პილოტთა ასოციაციის ერთ-ერთი ლიდერიც გახლავთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრმა მრბოლმა მოითხოვა მისგან, წესები დაეცვა. თავად შუმი ჰილს სდებს ბრალს, რომ კანადაში არ ატარებდა და ავარიულ სიტუაციას ქმნიდა. ამისთვის ბრიტანელის დასჯას მოითხოვს. გერმანელი პილოტი ამ სიტყვებით მიმართავს კოლეგებს: „თუ გადაწყვეტთ, რომ ვინმე მოკლათ, ნუ გააკეთებთ ამას ტრასაზე 200 კმ/სთ სიჩქარით რბოლისას."

# გაღანძღული კაცის ტრიუმფი

კვირას ფრანგულ „მანი კურის" ტრასაზე ფორმულა 1-ის წლევანდელი სეზონის პირველი ნახევარი კი ჩათავდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ნამდვილი ბრძოლა ახლაღა იწყება: ერთ დროს უიმედოდ ჩამორჩენილი მიხაელ შუმახერი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში რეალურად ჩაება.

სარბოლო უქმეების წინ საერთო ჩათვლის ლიდერის მიკა ჰაკინენის კონკურენტები იმედიანად იყვნენ განწყობილნი. „ყველასთვის ნათელია, რამდენად ჩამოვრჩებოდით „მაკლარენს" სეზონის დასაწყისში და როგორ მცირდება ახლა ეს ჩამორჩენა — აცხადებს „ფერარის" წინსვლით დაიმედებული შუმახერი — იმან, რაც ტესტებზე ვნახე, ძალიან ოპტიმისტურად განმაწყო. არ ვიცი, ამჟამად რამხელა უპირატესობა აქვს „მაკლარენს", მაგრამ ორიოდე მეათედი წამი ნამდვილად არ შემაშინებს, რბოლის დროს ათასი ხრიკითა და ტაქტიკური თამაშით ამისი ანაზღაურება სავსებით შესაძლებელია." ასევე დიდ გულზე გახლდათ ჰაკინენის მაკლარენელი თანაგუნდელი დევიდ კულჰარდიც, როგორც მიკამ შეძლო ამ შვიდი რბოლით დაწინაურება, ისევე შეიძლება მომდევნო შვიდ რბოლაში უკვე მე გამიმართლოსო.

„ფერარის" მიერ ამ სამი კვირის განმავლობაში გაწეული სამუშაო უკვე კვალიფიკაციის დროს ანაზღაურდა, რომელშიც შუმიმ „მაკლარენებს" ფიცხელი ბრძოლა გაუჩაღა და კარგა ხანს პირველი ადგილიც ეჭირა, თუმცა სესიის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე ათიოდ დღის წინ დაოჯახებულმა ჰაკინენმა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონზე 0,230 წამით უკეთესი დრო უჩვენა და თავის გუნდს სეზონში სრულყოფილი მაჩვენებლები — 8 რბოლა და 8 პოული შეუნარჩუნა. თუმცა თან ისიც აღიარა, ამისთვის დიდი ბრძოლა გადამხდაო. „გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ამ ტრასაზე გასწრება ძალიან ძნელია, ასე რომ, კვირისთვის მშვიდად ვარ" — ვაი, რომ კვირას ეს სიტყვები ფინელმა მწარედ ინანა.

შუმახერი კი კვალიფიკაციის შედეგებით ძალიან კმაყოფილი დარჩა, პირველ რიგში დგომას ვგეგმავდით და მივაღწიეთ კიდეც, ვგრძნობ, რომ მათი დამარცხება ძალგვიძს, მთავარია, სწორი ტაქტიკა ავირჩიოთო. რბოლის დაწყებამდე გერმანელი მაინც უსიამოვნო ამბავში გაეხვა. ჯერ „მაკლარენის" ბოსმა რონ დენისმა სახელის და გვარის დაუსახელებლად განაცხადა, ზოგიერთი მრბოლი ტრასაზე ბინძურ ილეთებს იყენებს, რადგან იცის, რომ ყველაფერი შერჩებაო: „ფეხბურთში ყვითელ ბარათს რომ აგიფრიალებენ, იცი, რომ ფრთხილად თუ არ იქნები, გაგაგდებენ. მაგრამ თუ სულ ჯარიმდები და ბარათს არ გიჩვენებენ, იცი, რომ არაფრის უნდა გეშინოდეს. აქ დარღვევისთვის ზოგს როგორ სჯიან, ზოგს როგორ." დენისი აშკარად შუმახერს გულისხმობდა, რომელიც წლეულს კულჰარდთან და ჰაინც-ჰარალდ ფრენცენთან მეტად საეჭვო შეტაკებებს თითქმის დაუსჯელად, 10 წამიანი ჯარიმით გადაურჩა.

ბოსს თავად კულჰარდმაც აუბა მხარი, თუ აქ ყველაფრის გაკეთება შეიძლება და დასჯით მაინც არავის სჯიან, სხვაზე ნაკლები რითი ვარ, მეც ასევე ვირბოლებო.

ასეა თუ ისე, კვირას სეზონის მერვე ეტაპი მაინც დაიწყო. პირველი სტარტის შემდეგ მანქანები მოსახვევში წესითა და რიგით, დიდი ცვლილებების გარეშე შევიდნენ, მაგრამ სტიუარტელ ვერსტაპენს ბოლიდი ჩაუქრა, ტრასაზე ყვითელი ალმები გამოფინეს და რესტარტიც დანიშნეს. ამჯერად კი ყველაფერი თავდაყირა დადგა: დაძვრისთანავე ჰაკინენმა შუმახერისთვის გზის გადასაკეტად გაიწია, მაგრამ ამისგან არაფერი გამოუვიდა და თან საკუთარი ადგილიც დაკარგა: ირვინმა კულჰარდს გაასწრო, ფინელს მარჯვნიდან აუარა და თავი შუმახერის უკან, მეორე პოზიციაზე ამოყო.

ფაქტობრივად, რბოლის ბედიც მაშინვე გადაწყდა, ნათელი იყო, რომ ირლანდიელი ჩემპიონობისთვის მებრძოლ თანაგუნდელს გაჯიბრებას კი არ დაუწყებდა, ფარად დაუდგებოდა უკან და უპირატესობის გაზრდაში შეუწყობდა ხელს. შუმიმაც ნელნელა ტემპს უმატა და მდევრებისგან სტაბილურად დაშორება დაიწყო — მეთორმეტე წრისთვის იგი ირლანდიელს უკვე 13 წამს უგებდა. ირვინის უკან აღმოჩენილი „მაკლარენები" კარგა ხანს არაფერს ცდილობდნენ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ჰაკინენს ყელში ამოუვიდა ამდენი ცდა და გაქცეული მთავარი კონკურენტის უღონოდ ყურება და მეოცე წრეზე ირვინის ჩამოტოვება მოიწადინა. ფინელი მოსახვევში პირველი კი შევიდა, მაგრამ დიდ სიჩქარეზე მანქანა ველარ დაიმორჩილა, შემოტრიალდა და ცოტა იღბალი რომ არა, რბოლასაც იქვე დაასრულებდა, თუმცა ათიოდ წამი მაინც დაკარგა.

კულჰარდი მესამე ადგილზე კი გადაბარგდა, მაგრამ პიტ-სტოპზე ბენზინის ჩასხმისას პრობლემები შეექმნა, დიდხანს დაყოვნდა და დაბრუნებისას ისევ ჰაკინენის უკან აღმოჩნდა. პიტ-სტოპების შემდეგ არაფერი შეცვლილა: პირველი შუმახერი იყო, რომელსაც ოციოდ წამში ირვინი, ჰაკინენი და კულჰარდი მოჰყვებოდნენ, მეხუთემეექვსე ადგილებზე კი შარშანდელი ჩემპიონი ჟაკ ვილნევი და ავსტრიელი ალექს ვურცი მოკალათებულიყვნენ, ოღონდ უკვე გვარიანი ჩამორჩენით.

პიტ-სტოპების მეორე სერიამდე აღსანიშნავი აღარაფერი მომხდარა, „მანი კურის" ვიწრო ტრასაზე გასწრება კი არა, ამის სურვილიც არავის გამოუმჟღავნებია, 55-ე წრეზე ბოქსებში შესულ კულჰარდს კი „უილიამსის" მექანიკოსებმა შესანიშნავი „საჩუქარი" მოუმზადეს — ბენზინის ჩასასხმელი მილი მანქანას ვერაფრით მოარგეს და ნახევარწუთიანი ლოდინის შემდეგ უკან ხელცარიელი გააბრუნეს. უიღბლო შოტლანდიელი პიტ-სტოპზე მომდევნო წრეზეც შევიდა, მერე კიდევ ერთხელ და ტრასას მერვე ადგილზე დაუბრუნდა. აქ კი თავისიანთა უხეირობით გახელებულმა კულჰარდმა რბოლის წინ დანაქადნის შესრულება დაიწყო და მალე ტრასა უკან მოტოვებულ ბოლიდთა ნარჩენებით აივსო. ჯერ ფრენცენმა მიაკითხა ბოქსებს, მერე კი ტრასის პირას, ქვიშაში ჟან ალეზიმაც დაასრულა რბოლა, სამაგიეროდ, კულჰარდმა მეექვსე ადგილი და ჩასათვლელი ქულა მოიპოვა.

შოტლანდიელის მსგავსად, ამ დროს ჰაკინენიც კი დიდ გაწამაწიაში იყო. მთელი 15 წრის განმავლობაში თავგამოდებით უტევდა მეორე ადგილზე მყოფ ირვინს, მაგრამ უშედეგოდ. ფინელმა ბოლო მოსახვევში გარისკა და „დაწინაურების" იმედით ირლანდიელს მანქანა ოდნავ გაჰკრა კიდეც, მაგრამ ისევ არაფერი გამოუვიდა და პირველად 1990 წლის შემდეგ, როდესაც ესპანეთის დიდ პრიზზე პირველი-მეორე ადგილები პროსტსა და მენსელს ეჭირათ, „ფერარიმ" დუბლი გააკეთა.

**ალეკო ჭაბუკიანი**



„ფერარის" ნანატრი დუბლი: შუმი პირველია, ირვინი მეორე

## რბოლის შედეგები

28 ივნისი. მანი კური.

დისტანცია — 71 წრე — 301.564 კმ

1. მ. შუმახერი (ფერარი) 1:34.45,026 (190,963 კმ/სთ) 10 ქულა
2. ირვინი (ფერარი) ჩამორჩა 19,575 წმ-ით 6
3. ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) 19,747 წმ-ით 4
4. ვილნევი (უილიამს-მეკაქრომი) 66,965 წმ-ით 3
5. ვურცი (ბენეტონ-მეკაქრომი) 1 წრით 2
6. კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი) 1 წრით 1
7. ალეზი (ზაუბერი) 1 წრით
8. ჰერბერტი (ზაუბერი) 1 წრით
9. ფიზიკელა (ბენეტონ-მეკაქრომი) 1 წრით
10. ბარიჩელო (სტიუარტ-ფორდი) 2 წრით
11. პანი (პროსტ-პეჟო) 2 წრით
12. ვერსტაპენი (სტიუარტ-ფორდი) 2 წრით
13. სალო (ეროუსი) 2 წრით
14. დინიცი (ეროუსი) 2 წრით
15. ფრენცენი (უილიამს-მეკაქრომი) 3 წრით
16. რ. შუმახერი (ჯორდან-მუგენ-ჰონდა) 3 წრით

**საუკეთესო წრე**

კულჰარდი (1.17,523; 197,760 კმ/სთ)

**ლიდერები**

1-71 წრე — შუმახერი

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ნაკანო (მინარდი-ფორდი) გაიარა | 65 წრე |
| ტაკაჯი (ტირელ-ფორდი) | 60 |
| ტრული (პროსტ-პეჟო) | 55 |
| ტუერო (მინარდი-ფორდი) | 41 |
| ჰილი (ჯორდან-მუგენ-ჰონდა) | 19 |
| როსეტი (ტირელ-ფორდი) | 16 |

## განლაგება სტარტზე

23 ტუერო 1.19,146 მინარდი
22 ნაკანო 1.18,273 მინარდი
21 ტაკაჯი 1.18,221 ტირელი
17 სალო 1.17,970 ეროუსი
20 როსეტი 1.17,908 ტირელი
16 დინიცი 1.17,880 ეროუსი
11 პანი 1.17,671 პროსტი
19 ვერსტაპენი 1.17,604 სტიუარტი
18 ბარიჩელო 1.17,024 სტიუარტი
15 ჰერბერტი 1.16,977 ზაუბერი
12 ტრული 1.16,892 პროსტი
14 ალეზი 1.16,627 ზაუბერი
6 ვურცი 1.16,413 ბენეტონი
5 ფიზიკელა 1.16,375 ბენეტონი
2 ფრენცენი 1.16,319 უილიამსი
9 ჰილი 1.16,245 ჯორდანი
10 რ.შუმახერი 1.15,925 ჯორდანი
1 ვილნევი 1.15,630 უილიამსი
4 ირვინი 1.15,527 ფერარი
7 კულჰარდი 1.15,333 მაკლარენი
3 მ.შუმახერი 1.15,159 ფერარი
8 ჰაკინენი 1.14,929 მაკლარენი

## FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | | ავსტრალია 8 მარტი | ბრაზილია 29 მარტი | არგენტინა 12 აპრილი | სან მარინო 26 აპრილი | ესპანეთი 10 მაისი | მონაკო 24 მაისი | კანადა 7 ივნისი | საფრანგეთი 28 ივნისი | დიდი ბრიტანეთი 12 ივლისი, 17:00 | ავსტრია 26 ივლისი, 16:00 | გერმანია 2 აგვისტო, 16:00 | უნგრეთი 16 აგვისტო, 16:00 | ბელგია 30 აგვისტო, 16:00 | იტალია 13 სექტემბერი, 16:00 | ლუქსემბურგი 27 სექტემბერი, 16:00 | იაპონია 1 ნოემბერი, 08:00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ჰაკინენი** (ფინეთი) მაკლარენ-მერსედესი | 10 | 10 | 6 | – | 10 | 10 | – | 4 | | | | | | | | | 50 |
| 2 | **მ. შუმახერი** (გერმანია) ფერარი | – | 4 | 10 | 6 | 4 | – | 10 | 10 | | | | | | | | | 44 |
| 3 | **კულჰარდი** (ბრიტანეთი) მაკლარენ-მერსედესი | 6 | 6 | 1 | 10 | 6 | – | – | 1 | | | | | | | | | 30 |
| 4 | **ირვინი** (ბრიტანეთი) ფერარი | 3 | – | 4 | 4 | – | 4 | 4 | 6 | | | | | | | | | 25 |
| 5 | **ვურცი** (ავსტრია) ბენეტონ-მეკაქრომი | – | 3 | 3 | – | 3 | – | 3 | 2 | | | | | | | | | 14 |
| 6 | **ფიზიკელა** (იტალია) ბენეტონ-მეკაქრომი | – | 1 | – | – | – | 6 | 6 | – | | | | | | | | | 13 |
| 7 | **ვილნევი** (კანადა) უილიამს-მეკაქრომი | 2 | – | – | 3 | 1 | 2 | – | 3 | | | | | | | | | 11 |
| 8 | **ფრენცენი** (გერმანია) უილიამს-მეკაქრომი | 4 | 2 | – | 2 | – | – | – | – | | | | | | | | | 8 |
| 9 | **ბარიჩელო** (ბრაზილია) სტიურტ-ფორდი | – | – | – | – | 2 | – | 2 | – | | | | | | | | | 4 |
| 10 | **ალეზი** (საფრანგეთი) ზაუბერი | – | – | 2 | 1 | – | – | – | – | | | | | | | | | 3 |
| 1 | მაკლარენ-მერსედესი | 16 | 16 | 7 | 10 | 16 | 10 | – | 5 | | | | | | | | | 80 |
| 2 | ფერარი | 3 | 4 | 14 | 10 | 4 | 4 | 14 | 16 | | | | | | | | | 69 |
| 3 | ბენეტონ-მეკაქრომი | – | 4 | 3 | – | 3 | 6 | 9 | 2 | | | | | | | | | 27 |
| 4 | უილიამს-მეკაქრომი | 6 | 2 | – | 5 | 1 | 2 | – | 3 | | | | | | | | | 19 |
| 5 | სტიუარტი | – | – | – | – | 2 | – | 3 | | | | | | | | | | 5 |

*შენიშვნა:* სტარტი ჩვენი დროით

კრივი

# კობა გოგოლაძე: პროფესიულ რინგზე სიამოვნებით გავალ



გუჯა ფოლადაშვილის ფოტო

კობა გოგოლაძე

ქართველი მოკრივეები, ფოთელი კობა გოგოლაძე და ვარიანელი რამაზ გაზაშვილი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ზურაბ გუნიას ხელმძღვანელობით ახლახან ჩინეთს სტუმრობდნენ. აზიის ამ უდიდესი ქვეყნის პროვინციული ქალაქი ჩონვინგი მსოფლიო თასის გათამაშებას მასპინძლობდა. ჩინელებმა რინგზე საჩხუბრად ყველა კონტინენტის რჩეულ მოკრივეებს უხმეს, თუმცა ზოგიერთი ევროპული ქვეყნის წარმომადგენელმა კეთილი ნების თამაშებზე ასპარეზობა არჩია და მათთვის შეგულებული ადგილები ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორებს ერგოთ. 51 კგ-ში ზემოთქმული მიზეზის გამო მსოფლიო თასმა რუსი მოკრივეები მოისაკლისა და სლავთა ნაცვლად ჩინელთა წინაშე რამაზ გაზაშვილი წარდგა. ჩვენი ბიჭების გამოსვლის შესახებ უკვე გაუწყეთ და იმასაც დაგპირდით, დაწვრილებით მათი დაბრუნების შემდეგ მოგითხრობდით, ამიტომაც ვთხოვეთ კობა გოგოლაძეს რედაქციაში გვწვეოდა და ჩინური შთაბეჭდილებები „სარბიელის“ მკითხველისთვის გაეზიარებინა:

— 60 კგ წონაში 8 მოკრივე იყო, ევროპას მე და საბერძნეთის სახელით მოასპარეზე ტიგრან უზლიანი წარმოვადგენდით. უზლიანი ჰუსტეს ნაცვლად დაუშვეს, გერმანელი კეთილი ნების თამაშებზე აპირებს გამოსვლას და ჩინეთში აღარ ჩამოვიდა. არადა, ჰუსტესთან რევანშისთვის ვემზადებოდი. გეხსომებათ, ევროპის ჩემპიონატის ფინალში მასთან დავმარცხდი. პირველს აზიის საუკეთესო მოკრივეს ყაზახ მუსინოვს შევხვდი და 15:9 ვძლიე, ნახევარფინალში ჩემი მეტოქე კუბელი კინდელინა იყო. ყველამ კარგად იცის კუბელთა ძალა, სამოყვარულო კრივში სწორედ ისინი ჰქმნიან ამინდს. კინდელინა ტექნიკური და გამოცდილი მოკრივეა, მასთან ბრძოლა ძალიან გამიჭირდა და აკი ქულებით დავმარცხდი კიდეც 11:6. კუბელმა გამოცდილებით მაჯობა. მე ბრინჯაოს მედალს და მესამე ადგილისთვის განკუთვნილ 500 დოლარს დავჯერდი. მსოფლიო თასი კი კინდელინამ მოიპოვა, რომელმაც ფინალში ტაილანდელს აჯობა.

**— რამაზ გაზაშვილზე რას გვეტყოდი? აქვე მეორე რამაზის, ოღონდ თურქეთის სახელით მოასპარეზე ფალიანზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვით.**

— გაზაშვილმა პირველივე ბრძოლა ჩინელ მოკრივესთან ჩაატარა. მსაჯები აშკარად მასპინძელს ემხრობოდნენ, გაამარჯვებინეს და რამაზი ტურნირს გამოეთიშა. ფალიანი უზბეკ მოკრივესთან დამარცხდა და აქაც მსაჯების არაობიექტურობამ იჩინა თავი. საერთოდ, უნდა აღვნიშნო, რომ არბიტრები განსაკუთრებული სიმპათიებით იყვნენ განწყობილი აზიელთა მიმართ.

**— რომელი ქვეყნის მოკრივეებმა იმარჯვეს სხვებზე მეტად?**

— კუბელებმა 9 ოქროს მედალი აიღეს, დანარჩენი სამი კი უზბეკი და ტაილანდელი მოკრივეების ანგარიშზეა. როგორც ხედავთ, კუბელთა უპირატესობა აშკარაა.

**— სექტემბერში ევროპის თასის გათამაშება გაიმართება...**

— ამ ტურნირს საბერძნეთი უმასპინძლებს. ახლა ცოტა ხნით დავისვენებ, ივლისის შუა რიცხვებიდან კი ვარჯიშს განვაახლებ და მოვემზადები ირანის დიდი საერთაშორისო ტურნირისთვის, რომელიც აგვისტოში გაიმართება და კარგი რეპეტიცია იქნება ევროპის თასის წინ.

**— კობა, გიორგი კანდელაკი სულ მოკლე ხანში თავის პირველ ბრძოლას გამართავს პროფესიულ რინგზე. შენც ხომ არ შეგხმიანებია ვინმე?**

— ეს დღეებია, რუმინეთში სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი ტარდება. სხვა საკითხებთან ერთად პროფესიონალ და მოყვარულ მოკრივეთა ერთად ასპარეზობის შესაძლებლობას განიხილავენ. ლაპარაკია იმაზეც, რომ მოყვარულ მოკრივეს საშუალება მიეცეს, წელიწადში ხუთჯერ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფულზე იჩხუბოს. თუკი ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს, დიდი სიამოვნებით გავალ პროფესიულ რინგზე.

**— მოდი, ისევ ჩინეთს დავუბრუნდეთ, კომუნისტთა ქვეყანამ სსრკ ხომ არ გაგახსენა?**

— აბა, რა გითხრათ, წითელი დროშები და მუშათა კლასი ნამდვილად თვალშისაცემია, ცხოვრების დონე არცთუ ისე მაღალია. ჩინურმა კულტურამ კი ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

**— ახლა მთელი ქვეყანა ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზეა გადაგებული, შენც გეყოლება საყვარელი გუნდი.**

— მე ბრაზილიელთა გულშემატკივარი ვარ, ლამაზ, ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ. კრივიც ასეთი მიყვარს და ამიტომაცაა ბრაზილიისკენ ჩემი სიმპათიები.

**სოსო ქოტორეიშვილი**

ჭადრაკი

# არის საედლისტო ნაკრებები!

პირველ რიგში და აუცილებლად ის ცნობა, რომელიც ჩვენი ჭადრაკის მოყვარულებს ორთვიანი ნერვიულობის შემდეგ შვებით ამოასუნთქებს. მაია ჩიბურდანიძე ყალმუხეთში მომხდარი ავტოავარიის შემდეგ სრულებით გამოჯანმრთელდა! იგი მზადაა, ელისტის ოლიმპიადაზეც უწინდებურად იტვირთოს საქართველოს ქალთა ნაკრების ლიდერობა და ზედიზედ მეოთხე ოლიმპიური ოქროსკენ გაუკვალოს გზა თანამებრძოლებს. ხოლო ის, რომ ჩიბურდანიძე და დანი მისნი ამ გზას კვლავაც ბოლომდე გაივლიან, ერთი წუთითაც არ გვეეჭვება!

საბოლოოდ დადგინდა საქართველოს როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა ნაკრებების სრული შემადგენლობა. ძლიერი სქესის წარმომადგენელთა ნაკრების ბოლო, მეექვსე წევრი ჭადრაკის ფედერაციას უნდა დაესახელებინა და ეს ბედნიერება გია ბაღათუროვს ერგო, რომელმაც საქართველოს პირველობის VII ადგილებისთვის გამართული სანუგეშო ტურნირი მოიგო. ამრიგად, ვაჟთა ნაკრებს ოლიმპიადაზე ასეთი შემადგენლობით ვიხილავთ: ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია გიორგაძე, ზურაბ სტურუა, ხვიჩა სუპატაშვილი, ლაშა ჯანჯღავა, გია ბაღათუროვი. სოლიდური ძალაა!

ქალთა ნაკრებშიც ბოლო, მეოთხე წევრის ვინაობა იყო გასარკვევი. პრეტენდენტი ორი გახლდათ: ნინო გურიელი და ნინო ხურციძე, რომელმაც პირველ შესარჩევ მატჩში მაია ლომინეიშვილი დაამარცხა. ხურციძე — გურიელის მატჩი აღარ შედგა, რადგან გურიელმა თამაშზე უარი განაცხადა და ხურციძემაც ავტომატურად მიიღო ნაკრებში თამაშის უფლება. საბოლოოდ, ელისტის ოლიმპიადაზე საქართველოს სახელით გამოვლენ: მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია და ნინო ხურციძე.

საქართველოში სტუმრობას განაგრძობს მსოფლიოში ცნობილი ფრანგი ვუნდერკინდი, ყმაწვილი დიდოსტატი ეტიენ ბაკრო, რომელმაც აქ ჩვენი ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს ზურაბ აზმაიფარაშვილს ჩამოაკითხა. იმ მკითხველებს, რომელთაც უმცირესი დეტალების გაგებაც აინტერესებთ, ვაცნობებთ, რომ ამ ცოტა ხნის წინ წყნეთში ლაღობისას პატარა ბატონმა ბაკრომ კინაღამ ცხვირი გაიტეხა. არაფერი სერიოზული, რას ვიზამთ, ბრძენია, მაგრამ ბავშვია.

ჭადრაკის სასახლეში ჭადრაკის თამაშის ტემპმა საგრძნობლად იკლო, რაც, ეტყობა, ზაფხულის მხუთავი სიცხეების ბრალია. მოჭადრაკეებს მართლაც დატვირთული სეზონი ჰქონდათ და კარგი დასვენება ერგებათ და შეერგებათ კიდეც.

**დავით გულუა**

ჩოგბურთი

# ჩვენ ყველაფერი ვნახეთ

**WIMBLEDON'98**

შაბათს უიმბლდონი ბევრი მატჩის, მოწოდებისა და გამარჯვების ყიჟინის ნაცვლად ათასი სხვა რამის მომსწრე შეიქნა. მცხუნვარე მზისა და თავსხმა წვიმის მონაცვლეობის გარდა ამ დღეს იჭექა, იქუხა, ზედ კორტების გვერდით მდგომ შენობას ცეცხლი წაეკიდა, მაყურებლები გაიხიზნენ და, ბოლოს და ბოლოს, მთელი ეს ორომტრიალი „ოლ ინგლენდ კლაბის“ თავზე გამოსახული ორი ცისარტყელით დასრულდა. „ჩვენ ყველაფერი ვნახეთ“ — ასეთი იყო ახლახან დამთავრებული როლან გაროსის ფინალისტის, მონიკას სელეშის მოკლე კომენტარი.



REUTERS ფოტო

უიმბლდონს ცისარტყელა გადაერკალა

სელეში ლონდონური ჭირვეული ამინდით და ამდღისეული კატაკლიზმებით ლამის ყველაზე მეტად დაზარალდა: ინდონეზიელ იაუკ ბაზუკისთან ჯერ კიდევ წინა დღეს დაწყებული მატჩის განახლება კარგა ხანს არ ელირსა და როცა კორტზე მოუწია გასვლამ, იქ კვამლი და ბული დაუხვდა: „ერთი ათჯერ გუშინ მომიხდა მოთელვა, სამჯერ თუ ოთხჯერ — დღეს, მაგრამ ბოლო წუთს სულ წვიმდებოდა და მატჩს მაინც ვერ ვიწყებდით, ამდენი ვარჯიშისგან ლამის თამაშის თავიც აღარ მქონდა. მეორე მხრივ, როცა კორტზე გავედი, იმ კვამლიანი ჰაერის ჩასუნთქვისაც მეშინოდა, არაფერი მომივიდეს-მეთქი. მეც და იაუკიც მატჩის შეწყვეტის მომხრე ვიყავით, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი მოგვარდა.“

ამ ბოლო ხანებში სელეშის პირად ცხოვრებაშიც ყველაფერი რიგზეა. მამისა და მწვრთნელის, კაროლის გარდაცვალების შემდეგ წარმოშობით უნგრელ ექს-იუგოსლაველი თავის მთავარ გატაცებას, ჩოგბურთს ჩაუღრმავდა, თან ამანდა კუტცერის ყოფილ დამრიგებელ, ჩოგბურთელთა ჯანზე მომყვან გევინ ჰოპერს დაუკავშირდა და დიეტებისა და ხანგრძლივი ვარჯიშების ხარჯზე ცალკე ზედმეტი ქონები მოიშორა, ცალკე კი ბოლოდროინდელი მონიკასგან განსხვავებით კორტზე ხეირიანად სირბილსაც დაეჩვია. პროგრესიც აშკარაა: სელეში თვის დასაწყისში საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში გავიდა, მანამდე კი მსოფლიოს პირველ ჩოგანს, მარტინა ჰინგისს თიხნარზე თამაშის გაკვეთილიც ჩაუტარა და ჯერჯერობით სამ მატჩში უიმბლდონზე სულ 14 გეიმი წააგო. არადა, ბაზუკი ხელწამოსაკრავი მეტოქე სულაც არ არის: ერთი ხანობა საუკეთესოთა ოცეულში შედიოდა და თანაც შარშანდელ უიმბლდონზე მეოთხედფინალისტიც გახლდათ. მიუხედავად ამისა, ინდონეზიელს მატჩში არანაირი შანსი არ ჰქონია — უკანა ხაზზე მოკალათებული ამერიკელი მეტოქეს მძლავრი ორხელა დარტყმების მიწვდომის შესაძლებლობასაც კი იშვიათად აძლევდა და ამ ორ დღედ გაწელილ შეხვედრას საათზე ნაკლები დაახარჯა — 6:2, 6:3. თუმცა მერვედფინალში მონიკას უკვე მეტად სერიოზული და თანაც არცთუ სასურველი მეტოქე სანდრინ ტესტიუ (14) ელის, სწორედ ის, ამერიკელი შარშანდელ უიმბლდონზე რომ იმსხვერპლა. თუმცა მონიკა ამაზე არ ღელავს: „მე მგონი, ორივე ჩვენგანი ახლა უკეთ თამაშობს. ყოველ შემთხვევაში, მე აშკარად გამოვსწორდი, სანდრინმაც მოუმატა. იმედია, შარშანდელისგან განსხვავებით, მატჩის სხვაგვარად წარმართვასაც შევძლებ, თუმცა, დაე, უფრო ძლიერმა იმარჯვოს.“

კაცების მხარეს ამ არეულ დღეს ერთი ფავორიტი — იონას ბიორკმანი ემსხვერპლა. მეთერთმეტედ განთესილი შვედი წლეულს სუსტად კი ასპარეზობდა, მაგრამ უიმბლდონის დაწყების წინ ბალახის საფარზე ნოტინგემის პირველობა მოიგო და სეზონის მესამე დიდი სლემის ტურნირზეც დიდ იმედებს ამყარებდა, ყველას უნდა დავუმტკიცო, რომ თამაში ყველგან შემიძლიაო. თუმცა სკანდინაველის ამბიციებს პირველივე ღირსეულმა მეტოქემ ჩაილურის წყალის დაალევინა: ბიორკმანს მესამე წრეში სწრაფ საფარზე თამაშის ოსტატად მიჩნეული ჰოლანდიელი იან სიმერინკი გადაეყარა და ხუთ სეტში გააგდო კიდეც 7:6 (8:6), 5:7, 2:6, 6:4, 7:5.

ბიორკმანს შესაძლოა მასპინძელთა უმთავრესი იმედი, ტიმ ჰენმანიც მიჰყოლოდა, მაგრამ ამ უკანასკნელს გაჭირვების ჟამს მაყურებლებთან ერთად მსაჯიც ამოუდგა გვერდში. ინგლისელმა ზიმბაბველ ბაირონ ბლექს, რომელთანაც მანამდე ორივე პირადი შეხვედრა წაეგო, პირველ და მეორე ხელში კი აჯობა, მაგრამ მერე გვარად შავი, ფერ-ხორცით თეთრი აფრიკელი გამოცოცხლდა, ჩამორჩენა შეამცირა და ანგარიშის გათანაბრებამდე სულაც ერთი გეიმიღა უკლდა — მეოთხე სეტში 5:4 იგებდა, თუმცა ამ გადამწყვეტ მომენტში, ბრეიკ-პოინტზე ინგლისელის დარტყმული ბურთი მსაჯმა ბრუნო რებემ (სწორედ იმან, გუსტავო კუერტენთან, ჯეფ ტარანგოსა და ანა კურნიკოვასთან არცთუ სასიამოვნო ინციდენტები რომ მოსვლია) მეტად საეჭვო ვითარებაში ხაზს მოხვედრილად გამოაცხადა, ბლექის პროტესტების მიუხედავად, თავისი გადაწყვეტილება არ შეცვალა და ჰენმანსაც ნერვებაშლილი ზიმბაბველისთვის ბოლოს მოღება აღარ გასჭირვებია 6:4, 6:4, 3:6, 7:5. „ჰენმანის გულშემატკივრებთან გამკლავება ისედაც მიჭირდა, თავს საშინლად მარტოდ ვგრძნობდი კორტზე და მსაჯის შეცდომა მაკლდა. უბრალოდ, ვუთხარი, რატომღაც ყველა საეჭვო ბურთი ტიმს ეთვლება-მეთქი და სამართლიანად მსაჯობა ვთხოვე, თუმცა უკვე გვიან იყო. დარწმუნებული ვარ, ის ბურთი მართლაც აუტში იყო“ — დაიჩივლა მატჩის შემდეგ ბლექმა.

მერვედფინალს უწია ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებულმა პეტერ კორდამაც. აყლაყუდა ჩეხს მასავით ცაცია ფრანგ ჟერომ გოლმართან შეხვედრაში 16 ეისთან ერთად 16 ორმაგი შეცდომაც დაუგროვდა და მატჩი თითქმის სამ საათამდეც გაეწელა, მაგრამ საბოლოოდ ამ ბოლო ხანებში ცუდი შედეგების გამო იშვიათობად ქცეული საფირმო შეკუნტრუშება მაინც უჩვენა მაყურებელს — 4:6, 7:5, 7:5, 7:5.

**მესამე წრის დაუმთავრებელი მატჩები: პიტ სამპრასი (აშშ) — ტომას ენქვისტი (შვედეთი) 6:3, 5:5; ნიკოლას კიფერი (გერმანია) — რიჩარდ კრაიჩეკი (9, ჰოლანდია) 2:1; ტოდ მარტინი (აშშ) — ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) 6:4, 4:6, 7:6, 2:2**

**ავთანდილ სვანიძე**

ძიუდო



გუჯა ფოლადაშვილის ფოტო

ვაზაგაშვილმა ყველა მეტოქე შავ დღეში ჩააგდო

# ყურადღება: 66!

გუშინ დამთავრებულ ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატში ტატამზე ნაკრების თითქმის ყველა კანდიდატი გამოვიდა. ევროპის წლევანდელი ჩემპიონი ნესტორ ხერგიანი ავადმყოფობამ გამოაკლო შეჯიბრს. განსაკუთრებული ინტერესი 66 კგ წონისკენ იყო მიპყრობილი: ყველა გიორგი ვაზაგაშვილისა და გიორგი რევაზიშვილის დუელს ელოდა. გორელმა ვაზაგაშვილმა იჭიდავა და ქვეყნის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა, აი, რევაზიშვილი, იგივე „ჯლანა“ კი არსად ჩანდა. არადა, სწორედ მათი შეხვედრის შემდეგ უნდა გადაეწყვიტა ნაკრების მთავარ მწვრთნელს შოთა ხაბარელს, ვისთვის ენდო ამ წონაში სანაკრებო ადგილი. სხვა მხრივ ჩემპიონატმა უსენსაციებოდ ჩაიარა. მართალია, ბევრმა ახალგაზრდამ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ფავორიტებს კონკურენცია მაინც ვერ გაუწიეს.

ნაკრების პირველმა ნომრებმა, შეიძლება ითქვას, ცალი ხელით მოიგეს პირველობა. ვაზაგაშვილმა ხუთჯერ იჭიდავა და ხუთივეში იპონით გაიმარჯვა. შეუდარებელი იყო ჯონდო მუზაშვილი. მხარმტკივანმა ჯონდომ, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა სამბოში, ყველა მეტოქე ბეჭით გააკრა ტატამზე და უძლიერესის სახელიც დაიგდო. გია გუგავამაც დაამტკიცა, რომ ტყუილად არ ანდობენ საერთაშორისო სარბიელზე ქვეყნის ღირსების დაცვას. ნაკრების წევრობაზე პრეტენზია თელაველ გიორგი წმინდაშვილსაც აქვს, მაგრამ მან რატომღაც თავი აარიდა გუგავასთან ბრძოლას. სპეციალისტები ლევან ციგრიაშვილს ძალიან ჭკვიან და ამასთან ცბიერ ძიუდოისტად ახასიათებენ, ლევანმაც ჭკვიანურად იჭიდავა, ხერხიც დროულად იხმარა, ღონეც და პირველობაც არავის დაუთმო.

ივერი ჯიქურაულისა და რამაზ ჩოჩიშვილის გამარჯვება არავის გაკვირვებია. თავიანთ წონებში დღესდღეობით უძლიერესნი არიან და სასურველი ისაა, საქართველოს ჩემპიონის წოდებას ევროპის და მსოფლიოს პირველობების მედლებიც შემატონ.

**სოსო ქოტორეიშვილი**

კალათბურთი

# უმცროს-უფროსი არ იცით?

გუშინ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მეორე შეხვედრა გამართა ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე. ჩვენები აზერბაიჯანის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდნენ და, როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვაჟა მხეიძემ გვითხრა, საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს კიდეც — 86:79. მწვრთნელი ერთობ კმაყოფილი იყო ბიჭების თამაშით, განსაკუთრებით კი გამთამაშებლები — ნიკა ვეფხვაძე და გიორგი გაგნიძე გამოჰყო. თანაც დასძინა, შიში, თითქოს სრულფასოვანი გამთამაშებლები არა გვყავს, უსაფუძვლოა, ამაში დავრწმუნდიო. მომდევნო შეხვედრაში ჩვენების მეტოქე თურქმენეთის ნაკრები იქნება.

**გიორგი ბიძაშვილი**

# ვისწავლოთ დაცვა და იტალიური

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

როგორც კი თვალი გადავავლე ტრიბუნებს, გავიფიქრე, ფრანგები ჩვენსავით გაჭირვებულები ხომ არ არიან, ან, ბოლოს და ბოლოს, დახმარება ფიფასთვის ეთხოვათ-მეთქი: სტადიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ ტრიბუნებზე დამონტაჟებული. არ იყო პლასტმასის საზურგიანი სკამები და მაშინვე გამახსენდა ჩვენი ეროვნული სტადიონის ყოფილი და მომავალი პრობლემები.

რა შეიძლება ითქვას მატჩის თაობაზე, რომელიც თქვენ უკვე იხილეთ? იტალიელებმა აშკარად უკეთ ითამაშეს, მაგრამ, ჩემი აზრით, ისე მაინც არა, მათ რომ შეეფერებათ. ჩემი კოლეგების აზრიც ორად გაიყო. ერთნი ამბობდნენ, ნორვეგიელების ასეთი ცუდი თამაშისას რა აუცილებელი იყო იტალიელთა კარგი თამაშიო (ნამდვილად ორიგინალური მოსაზრებაა), მეორენი კი ფიქრობდნენ, რომ „სკუადრა ატურამ" ვერ აჩვენა ის, რაც შეუძლია, თუმცა თანდათანობით უმატებსო.

ჩემი აზრით, კარგად ითამაშა იტალიელთა დაცვამ მეკარის ჩათვლით. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მომცრო ტანის ფაბიო კანავარო, რომელიც მასზე თითქმის 20 სანტიმეტრით მაღალ და ნორვეგიელთა გუნდში ყველაზე სახიფათო ტორე ანდრე ფლოს აეწება და, ფაქტობრივად, შეძლო კიდეც მისი თამაშიდან გამოთიშვა. იგი დაზღვევაზეც ხეირიანად ასწრებდა თამაშს. რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, ამ მატჩში მისთვის ჩვეული ბევრი შეცდომა არ დაუშვია პაოლო მალდინის. გუნდის კაპიტანი მარჯვენა მცველის პოზიციაზე იდგა და დარაჯობდა ნორვეგიელთა მე-17 ნომერს — ჰავარდ ფლოს. ერთ ეპიზოდში თითქოს უხეში ილეთი იხმარა საჯარიმოში ნორვეგიელის წინააღმდეგ, ტრიბუნებმა იხუვლეს, მაგრამ გერმანელი არბიტრი დუმდა.

რადგან საუბარი ისეთ გამოცდილ ფეხბურთელზე ჩამოვარდა, როგორიც 30 წლის მალდინია, რომელმაც უკვე 92-ე მატჩი ითამაშა ნაკრებში, არ შეიძლება ესეც არ ითქვას: ნამდვილად გასაკვირია მისი ან კოლუმბიელებთან ამასწინანდელ მატჩში ინგლისელების შირერისა და ბექჰემის საქციელი, როცა მათ არაფრის გამო, რომ იტყვიან, ძალად მიიღეს გაფრთხილებები, თანაც ასეთი საპასუხისმგებლო მატჩების წინ. გახსოვთ — ბექემმა მსაჯის დასტვენამდე დაარტყა ჯარიმა, შირერმა კი ცხრამეტრიანი დისტანციის წესი დაარღვია და აიძულა მექსიკელი მსაჯი (რომელსაც ყელში ამოუვიდა ხვეწნა, უკან დაიწიეო), ყვითელი ბარათი ამოეღო. მალდინიმაც, დროის გაყვანა მოინდომა და გერმანელ არბიტრს გაფრთხილება გამოსტყუა. ვინ იცის, როდის უწევთ ასეთი უპასუხისმგებლობა თუ ზერელობა?

ისევ მატჩს დავუბრუნდეთ. იტალიელთა ნახევარდაცვამ კარგად იმუშავა — მაქსიმალურად ეცადა მოეკვეთა ნორვეგიელთა შეტევის ხაზი ზურგისთვის. მართალია, ბურთი ვიერიმ გაიტანა, მაგრამ არც დელ პიეროს უთამაშია ცუდად. ჩეზარე მალდინიმ, როგორც ჩანს, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და ბევრის კრიტიკის მიუხედავად აქცენტს ვიერი — დელ პიეროს წყვილზე აკეთებს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მომავალში, მატჩის წაგების საშიშროების შემთხვევაში მათ რობერტო ბაჯოც შეუერთდება.

ერთის თქმაც შეიძლება და ეს, ბუნებრივია, ასეც უნდა ყოფილიყო: აქ ინგლისელებმაც და იტალიელებმაც გაცილებით უკეთესი თამაში, უფრო მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა აჩვენეს, ვიდრე შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრებთან. რა თქმა უნდა, თუ ასეთი შედარება საერთოდ შეიძლება.

ახლა რაც შეეხება ნორვეგიელებს, რომლებთანაც ჩვენს გუნდს სულ მალე ექნება საქმე.

ვფიქრობ, 34 წლის მეკარე ფროდ გროდასს ფეხბურთში საუკეთესო წლები უკან დარჩა. დღე იგი, უკეთეს შემთხვევაში, საშუალო დონის გოლკიპერია და ძირითადად ფონს გამოცდილებით გადის. ამ მატჩში რამდენჯერმე შეცდა, მაგრამ ილბლად გადარჩა — იტალიელებს კიდევ ორი ბურთი მაინც უნდა გაეტანათ.

დაცვამ კი საერთოდ უსუსური შთაბეჭდილება დატოვა. გუნდის ამ ხაზის სისუსტეზე კარგა ხანია თავად ნორვეგიელთა თავკაცი ეგილ ოლსენიც წუწუნებს (თითქოს ეს პრობლემა სხვისი გადასაწყვეტი იყოს). ასე, ყოველგვარი შემოქმედებისა და შექმნილი სათამაშო სიტუაციის გაუთვალისწინებლად. ხაზზე თამაში არ გამიგია (თუმცა დღეს მსგავსად ბევრი გუნდი თამაშობს), მით უმეტეს, როცა ამ ტაქტიკის შესაფერისი შემსრულებელი არ გყავს. საფრანგეთში საწყისი ეტაპის სამ მატჩში ნორვეგიელებმა ოთხი ბურთი გაუშვეს (პლუს ერთი მერვედფინალში). ამ მაჩვენებლით ისინი მე-15-მე-19 ადგილებს იყოფენ, ხოლო აქ მოასპარეზე ევროპის 15 გუნდს შორის კი ბოლოდან მესამეს. უარესი მაჩვენებელი მხოლოდ შოტლანდიელებსა და ბულგარელებს აქვთ (გახსოვთ, ალბათ, სტოიჩკოვის გუნდმა ერთ მატჩში მიიღო 6 ბურთი). მაგრამ საქმე მარტო გაშვებულ ბურთებში როდია. ნორვეგიელებს ხომ პოზიციური თამაშიც არ გამოსდით და არც, რომ იტყვიან, ერთი ერთზე არიან ძლიერნი. დაზღვევაზე თამაში კი მაინცდამაინც დიდად არ ეხალისებათ. მოკლედ, ნებისმიერი იტალიელი რასაც მოისურვებდა, იმას უკეთებდა ნორვეგიელ მცველებს. ერთადერთი, თავით თამაშით დაჩაგრეს-მეთქი, ვერ ვიტყვი. მოკლედ, ტექნიკურ, სწრაფ და იმპროვიზაციის მოყვარულ ქართველ თავდამსხმელებს თავის გამოჩენის საშუალება ნამდვილად ექნებათ — მრავალმიმართულებიანი შეტევის, სწრაფი და ზუსტი გადაცემებით სათამაშო სივრცის სრული გამოყენების შემთხვევაში.

ნახევარდაცვა შეტევაზე უფროა ორიენტირებული, ვიდრე დაცვაზე. თანამედროვე ფეხბურთში კი ეს საკმარისი სულაც არ არის, თანაც მოწინააღმდეგე ისეთი სწორად გათვლილი სქემით თუ გეთამაშა, როგორც ეს იტალიელებმა გააკეთეს. აკი თქვა კიდეც ჩეზარე მალდინიმ — ჩვენ ისეთი ტაქტიკა ავირჩიეთ, რომელმაც გამარჯვება მოგვიტანა. სამწუხაროდ, 2-3 გოლი ვერ გავიტანეთო.

ნორვეგიელთა ყველაზე ძლიერი მხარე მაინც შეტევაა, ძალისმიერი, აგრესიული, სწრაფი, განსაკუთრებით ეგრეთ წოდებულ მეორე სართულზე. ისინი არ ცდილობენ ჩაებან მცველთან პირისპირ ბრძოლაში, უბრალოდ, მთელი ჯანით, რომელიც მათ მოჭარბებული აქვთ, მთელი სხეულით იბრძვიან ჯერაც არ მოსული ბურთისთვის, მოედნის ნებისმიერ მონაკვეთში ეძებენ ამ ბურთს — თვით უიმედოსაც კი ბოლომდე მისდევენ, მის წასართმევად ებმებიან აშკარად უთანასწორო ბრძოლაშიც, იბრძვიან ფეხებითაც, ხელებითაც, სხეულითაც და, რა თქმა უნდა, თავით. მე თუ მკითხავთ, მათ თავბურთი უფრო გამოსდით, ვიდრე ფეხბურთი.

ერთი შეხედვით ერთფეროვანია მათი შეტევის ტაქტიკა — ყველა ბურთი ჩაჰკიდონ საჯარიმოში, სადაც საჰაერო ბრძოლას ხშირად იგებენ. ბურთი არ ყოვნდება მოთამაშესთან — მყისიერი გადაცემა ან ჩაწოდება. ურტყამენ ბევრს, ნებისმიერი პოზიციიდან და სახიფათოდ. მეტად საშიშია მათ მიერ გათამაშებული კუთხურები. არ გამოვრიცხავ, რომ საქართველოს ნაკრებს დიდი პრობლემები გაუჩნდება დაცვაში სწორედ ნორვეგიელთა თამაშის სპეციფიკური მანერის გამო. მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება, თუ შელია სპორტული ფორმის აღდგენას ვერ მოახერხებს. ჩვენები იგივეს გაკეთებას უნდა შეეცადნონ, რაც იტალიელებს მეტნაკლებად კარგად გამოუვიდათ — მკაცრი მეთვალყურეობა დააწესონ „უფრო მაღალ" ფლოზე; მაქსიმალურად იმუშაონ გადაცემების ჩაჭრაზე უმთავრესად სისხარტისა და სისწრაფის ხარჯზე (რაც თავისთავად ჩინებულ ფიზიკურ მომზადებასაც გულისხმობს), ბურთი არ უნდა მიუშვან ნორვეგიელებთან, არ უნდა მიაღებინონ, რადგან მერე წართმევის დროც კი არ იქნება — ისინი ბურთს არ იჩერებენ — წამიერად აგზავნიან საჯარიმოში. ამასთან, ნორვეგიელთათვის არც სათამაშო სივრცის დათმობა შეიძლება, სისწრაფეც აქვთ და ჯანიც მოსდევთ, შეეცდებიან ბურთიან-მცველიანად შევარდნენ საჯარიმში, კარებშიც კი. იქ, მათი კარიდან შორს ჯარიმის აკიდება ნორვეგიელთათვის დიდი უბედურება, ცხადია, სულაც არ არის. მოკლედ, ჩვენს მცველებს და მეკარეს (განსაკუთრებით გამოსვლებზე) საქმე ბლომად ექნებათ.

იტალიელებთან ნორვეგიელები ცდილობდნენ, შეტევა წარემართათ მარჯვენა ფლანგიდან, სადაც აქტიურობდნენ ჰავარდ ფლო, რეკდალი და ბერგი (სხვათა შორის, უკვე ვწერდი, რომ ინგლისელებიც მარჯვენა ფრთიდან ლაშქრავდნენ კოლუმბიელთა კარს, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფლოსა და ანდერტონის შედარება არ შეიძლება). პაოლო მალდინის ზონაში მათ ბევრი არაფერი გამოუვიდათ, უფრო მეტი, ჰ. ფლომ მოედანიც კი დატოვა. კუთხურებს ორივე მხრიდან მეტად ოსტატურად და სახიფათოდ აწვდის სტიგ ბიორნებიუ. მის მიერ დარტყმული ბურთი მიეწოდება მეკარისთვის მოუხერხებელ, ზედ პირითი ხაზის გასწვრივ შორეულ კუთხეში, იქ კი მას ჰაერში ხვდება აწოწილი ტ. ა. ფლო და ხიფათიც გამოწერილი გაქვს. ბიორნებიუ ჯარიმების დარტყმის სპეციალისტიცაა.

ერთი კია, შეტევის ჩაშლის შემთხვევაში ნორვეგიელები ზანტად ბრუნდებიან უკან და ვერ ასწრებენ დაცვის დახმარებას.

თამაშობენ თუ არა ნორვეგიელები უხეშად? ქართველი მაყურებლის თვალი, ასე ვთქვათ, ფაქიზ, ტექნიკურ, მე ვიტყოდი, „უკონტაქტო" ფეხბურთსაა მიჩვეული. ჯგუფში ჩვენი მოწინააღმდეგე თამაშობს ძალისმიერად, ფაქტობრივად, ჯარიმის ზღვარზე, განსაკუთრებით თავდასხმაში. მსაჯობის დღევანდელი კონცეფცია მათ ამის საშუალებას აძლევს. საფრანგეთში ჯგუფში ჩატარებულ მატჩებში ისინი 50-ჯერ დაჯარიმდნენ და ამ მაჩვენებლით ფრანგებთან ერთად იყოფენ მე-19-მე-20 ადგილებს. ყვითელი ბარათი, იტალიელებთან მატჩის ჩათვლით, 7-ჯერ აუფრიალეს.

ჩვენში კი არცთუ იშვიათად გაიგებთ, ნორვეგიის ნაკრები რა გუნდია, ჩვენებმა უნდა გადაუარონო. ჭკუის სწავლებისგან შორს ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ნორვეგიის ნაკრები საკმაოდ კარგი დონის გუნდია და მისი შესაძლებლობების შეუფასებლობა, სხვათა შორის, ისევე, როგორც ზედმეტად „გადაფასებაც", არ შეიძლება. ისე არ უნდა მოხდეს, რომ ეიფორიული განწყობილება შეიქმნას მატჩის წინ და მან ჩვენს ბიჭებს დათვური სამსახური გაუწიოს. ამის მაგალითი ბევრჯერ გვქონდა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს ყველაზე უკეთ ნაკრების ხელმძღვანელობამ და უკვე საკმაოდ გამოცდილმა ფეხბურთელებმა იციან.

და ბოლოს, „ეკიპმა" იტალიეთა გუნდის თამაში შეაფასა 5,7 ბალით, ყველზე მაღალი შეფასება მეკარემ დაიმსახურა (7,5); ნორვეგიელებმა 5,2 ქულა მიიღეს. აქაც მეკარე პირველობს — 6,5 ბალი.

...მარსელში ხმაურიანი და ტემპერამენტიანი ტიფოზებიც და მეტნაკლებად გაწონასწორებული ნორვეგიელი ფანებიც (რომლებმაც თამაშის წინ სტადიონის შესასვლელთან კოსტუმირებული ფოლკლორული სპექტაკლიც კი გამართეს) სანიმუშოდ იქცეოდნენ.



ნორვეგიელებს იტალიელებთან ჯანმა ვერ უშველა

### გოლები

5 — კრისტიან ვიერი (იტალია)

4 — გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა), მარსელო სალასი (ჩილე)

3 — ლუის ერნანდესი (მექსიკა), სეზარ სამპაიო (ბრაზილია), რონალდო (ბრაზილია)

2 — ტიერი ანრი (საფრანგეთი), დავორ შუკერი (ხორვატია), მარკ ვილმოტსი (ბელგია), არიელ ორტეგა (არგენტინა), რობერტო ბაჯო (იტალია), აბდელჯილილ ჰადა (მაროკო), სალაჰედინ ბასირი (მაროკო), ბებეტო (ბრაზილია), შონ ბარტლეტი (ს. აფრიკა), ფერნანდო იერო (ესპანეთი), ფრანსისკო მორიენტესი (ესპანეთი), კიკო (ესპანეთი), ფილიპ კოკუ (ჰოლანდია), რონალდ დე ბური (ჰოლანდია), იურგენ კლინსმანი (გერმანია), ოლივერ ბირჰოფი (გერმანია), თეოდორ უიტმორი (იამაიკა), ვიორელ მოლდოვანი (რუმინეთი)

1 — ჯონ კოლინზი (შოტლანდია), დან ეგენი (ნორვეგია), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო), პიერ ნჯანკა (კამერუნი), ტონი პოლსტერი (ავსტრია), მარკ რიპერი (დანია), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), რაული (ესპანეთი), მუტიუ ადეპოჟუ (ნიგერია), სანდი ოლისე (ნიგერია), ჰა სეკ ჯუ (კორეა), რიკარდო პელაესი (მექსიკა), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია), მარიო სტანიჩი (ხორვატია), რობერტ პროსინეჩკი (ხორვატია), რობი ერლი (იამაიკა), ალან შირერი (ინგლისი), პოლ სქოულზი (ინგლისი), ადრიან ილიე (რუმინეთი), ანდრეას მიოლერი (გერმანია), ჰავარდ ფლო (ნორვეგია), კრეიგ ბარლი (შოტლანდია), რივალდო (ბრაზილია), ივიცა ვასტიჩი (ავსტრია), ლუიჯი დი ბიაჯო (იტალია), ბენედიქტ მაკართი (ს. აფრიკა), ალან ნილსენი (დანია), დავიდ ტრეზეგე (საფრანგეთი), ბიქსენტე ლისარასუ (საფრანგეთი), მიქაელ ლაუდრუპი (დანია), ვიკტორ იკპება (ნიგერია), გარსია ასპე (მექსიკა), კვატემოკ ბლანკო (მექსიკა), მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია), დენის ბერხკამპი (ჰოლანდია), პიერ ვან ჰოიდონკი (ჰოლანდია), პრედრაგ მიატოვიჩი (იუგოსლავია), დრაგან სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), ჰამიდ ესტილი (ირანი), მეჰდი მაჰდავიკია (ირანი), ბრაიან მაკბრაიდი (აშშ), ლიდერ პრესიადო (კოლუმბია), დან პეტრესკუ (რუმინეთი), მაიკლ ოუენი (ინგლისი), ანდრეას ჰერცოგი (ავსტრია), პატრიკ მბომა (კამერუნი), ხოსე სიერა (ჩილე), ტორე ანდრე ფლო (ნორვეგია), კეტილ რეკდალი (ნორვეგია), იური ჯორკაეფი (საფრანგეთი), ემანუელ პეტი (საფრანგეთი), სამი ალ ჯაბერი (საუდეთი), იუსუფ ალ ტინიანი (საუდეთი), ლუის ენრიკე (ესპანეთი), ემილ კოსტადინოვი (ბულგარეთი), სელსო აიალა (პარაგვაი), მიგელ ბენიტესი (პარაგვაი), ხოსე კარდოსო (პარაგვაი), ვილსონ ორუმა (ნიგერია), რიკარდო პელაესი (მექსიკა), ლუკ ნილისი (ბელგია), იუ სენგ ჩუი (კორეა), სლობოდან კომლიენოვიჩი (იუგოსლავია), ექტორ პინედა (არგენტინა), მასაში ნაკაიამა (იაპონია), სკანდერ სუია (ტუნისი), დარენ ანდერტონი (ინგლისი), დევიდ ბექემი (ინგლისი), ლორან ბლანი (საფრანგეთი), ბრიან ლაუდრუპი (დანია), პეტერ მიოლერი (დანია), ებე სანდი (დანია), ტომას ჰელვეგი (დანია), ტოჯანი ბაბანგიდა (ნიგერია)

### ავტოგოლები

2 — პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა)

1 — ტომი ბოიდი (შოტლანდია), იუსუფ ჩიპო (მაროკო), ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია)

### წითელი ბარათები

*მექსიკა* — პაველ პარდო, ხესუს რამირესი
*დანია* — მიკლოშ მოლნარი, მორტენ ვიგჰორსტი

### ყვითელი ბარათები

*დანია* — რიპერი
*ხორვატია* — სოლდო
*რუმინეთი* — ფილიპესკუ
*იტალია* — მალდინი, დი ბიაჯო, მორიერო
*ბრაზილია* — სეზარ სამპაიო, ლეონარდო, კაფუ

*მერვედფინალების წინ ფეხბურთელებს ჯგუფურ ტურნირში მიღებული 2 გაფთხილება გაუნახევრდათ, თითო კი გაუუქმდათ.*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს
მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**სხვა სახეობათა განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29